ბატონიშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

სასამართლო სისტემის გამჭირვალობა საქართველოში, თბილისი, 2021

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა www.princelibrary.ge

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით

სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE
კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

სასამართლო სისტემის გამჭვირვალობა საქართველოში

2021

ავტორები:

ქეთევან კუკავა - კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების მიმართულების ხელმძღვანელი, IDFI

სალომე ჩხაიძე - იურისტი/მკვლევარი, IDFI

ნატა ახალაძე - იურისტი, IDFI

გოგა თუშურაშვილი - კვლევითი მიმართულების ხელმძღვანელი, IDFI

მთარგმნელი:

ქეთევან თიკანაშვილი

ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ანგარიშის შინაარსზე პასუხისმგებელია „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" (IDFI). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის, აშშ-ის მთავრობის ან აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.

სარჩევი

1. შესავალი 1

2. ძირითადი მიგნებები 3

3. მეთოდოლოგია 7

4. სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა 13

5. პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია 17

5.1. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების რეიტინგი 18

5.2. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი ინფორმაციის გამოქვეყნების მაჩვენებელი 21

5.3. ინფორმაცია, რომელთა გამოქვეყნების მაჩვენებელი ყველაზე დაბალია 27

5.4. ინფორმაცია, რომელთა გამოქვეყნების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია 28

5.5. სასამართლოების ვებგვერდებზე გამოვლენილი ხარვეზები 29

5.6. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მაჩვენებელი 30

6. სასამართლო სტატისტიკა 32

6.1. სასამართლო სტატისტიკის წარმოების პრაქტიკა 32

6.2. მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) მიერ დადგენილი სტანდარტი და საქართველოში არსებული მდგომარეობა 37

6.3. უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკა 39

6.4. სააპელაციო სასამართლოების ვებგვერდებზე გამოქვეყნებული სტატისტიკა 53

6.5. საქალაქო სასამართლოების ვებგვერდებზე გამოქვეყნებული სტატისტიკა 54

6.6. სასამართლოების ვებგვერდებზე გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაციის ფორმატი 58

6.7. სასამართლო სტატისტიკის ხელმისაწვდომობა - დასკვნითი შეფასება 67

7. დასკვნა 69

8. რეკომენდაციები 70

შესავალი

სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის აუცილებელი წინაპირობაა. გამჭვირვალე მართლმსაჯულება სასამართლოს მიმართ საზოგადოების ნდობის ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორია.

ბოლო წლებში, სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის კუთხით ცალკეული დადებითი ცვლილებები განხორციელდა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი 2013 წელს გადაიდგა[1], როდესაც საკანონმდებლო დონეზე დადგინდა სასამართლოს მიერ სასამართლო პროცესის აუდიო/ვიდეო ჩაწერის უზრუნველყოფის ვალდებულება; ასევე, საზოგადოებრივი მაუწყებლის უფლებამოსილება შეუზღუდავად განახორციელოს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო-, ვიდეო-, აუდიო ჩაწერა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე[2].

გარდა ამისა, 2013 წელს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა საჯარო ინფორმაციის ელექტრონულად მოთხოვნის სტანდარტი და პროაქტიულად გამოქვეყნების წესი[3]. საბჭოს ამ გადაწყვეტილებით დეტალურად განისაზღვრა სასამართლოების მიერ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხა.

2017 წელს, რეფორმის „მესამე ტალღის" ფარგლებში, საკანონმდებლო დონეზე დადგინდა ღია სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული სასამართლო გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნების ვალდებულება[4]. გამჭვირვალობის უზრუნველყოფის კუთხით მნიშვნელოვანი სიახლე იყო 2019 წელს სასამართლო გადაწყვეტილებების ვებგვერდის[5] შექმნა[6], რომლის მეშვეობით შესაძლებელია სასურველი გადაწყვეტილების მოძიება შესაბამისი დეტალური ფილტრების მიხედვით.

სასამართლოს გამჭვირვალობის კუთხით მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ დაადგინა, რომ მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს ღია, თუ არ არის მისი ხელმისაწვდომობის

[1] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონი, 06/03/2013, 260-IIს, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3469kcl [წვდომის თარიღი: 22.06.2020].

[2] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-13[1] მუხლი.

[3] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის N1/225 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2YqRFe5 [წვდომის თარიღი: 23.06.2020].

[4] „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-3[1] პუნქტი.

[5] ხელმისაწვდომია: http://ecd.court.ge/ [წვდომის თარიღი: 23.06.2020].

[6] სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში გამოქვეყნება და საძიებო სისტემის შექმნა იყო ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულება. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37cMBiv [წვდომის თარიღი: 16.10.2020].

შეზღუდვის დასაბუთებული საჭიროება.[7] საკონსტიტუციო სასამართლომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის შესაბამისი ნორმები ძალადაკარგულად ცნო 2020 წლის პირველი მაისიდან და პარლამენტს მისცა ვადა საკითხის კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად მოსაწესრიგებლად. თუმცა, მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მკაფიოდ განსაზღვრული გონივრული ვადისა, პარლამენტს საკანონმდებლო ცვლილებები არ მიუღია.[8]

წინამდებარე კვლევა ყურადღებას ამახვილებს სასამართლო სისტემის პროაქტიული გამჭვირვალობის კუთხით არსებულ ძირითად ხარვეზებზე. სერიოზულ გამოწვევად რჩება სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა და კონსტიტუციური სტანდარტის უგულებელყოფა. პრობლემურია სასამართლოების მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა და საჯარო ინფორმაციის არასრულყოფილი სახით გამოქვეყნება. ასევე აღსანიშნავია საერთო სასამართლოების სისტემაში სტატისტიკის წარმოებასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებული ხარვეზები.

არსებული ხარვეზებისა და გამოწვევების იდენტიფიცირების საფუძველზე, კვლევა მოიცავს კონკრეტულ რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინება არსებითად მნიშვნელოვანია სასამართლო სისტემის გამჭვირვალობისა და ღიაობის გასაუმჯობესებლად.

[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი" და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი" საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2NlFxF9 [წვდომის თარიღი: 23.06.2020].

[8] 2021 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით.

ძირითადი მიგნებები

სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა

- მიუხედავად საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მკაფიოდ განსაზღვრული გონივრული ვადისა, საქართველოს პარლამენტს სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილება დღემდე არ მიუღია, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ქვეყანაში კანონის უზენაესობას.
- საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნის შემთხვევაში, საერთო სასამართლოები არ ხელმძღვანელობენ კონსტიტუციური სტანდარტით და არ გასცემენ გადაწყვეტილებების სრულ ტექსტს (პერსონალურ მონაცემთა დაფარვის გარეშე), მიუხედავად იმისა, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" კანონის შესაბამისი მუხლების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემას, ძალადაკარგულია 2020 წლის პირველი მაისიდან.
- სასამართლოს გადაწყვეტილებების საძიებო სისტემაში 2020 წლის 30 აპრილის შემდეგ, საერთო სასამართლოების მიერ მიღებული არცერთი გადაწყვეტილება არ არის გამოქვეყნებული, რაც კანონმდებლობის დარღვევას და გამჭვირვალობის კუთხით სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს.

პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მაჩვენებელი შეადგენს 43.64%-ს, რაც ჩამორჩება არაერთი სასამართლოს საერთო მონაცემს და ცხადყოფს, რომ საბჭო სათანადოდ არ ასრულებს საკუთარი გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვალდებულებას.
- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, საჯარო ინფორმაცია არცერთ სასამართლოს არ აქვს სრულყოფილად გამოქვეყნებული. ინფორმაციის განთავსების ყველაზე მაღალი საერთო მაჩვენებელი უზენაეს სასამართლოს (78.18%) აქვს, ხოლო ყველაზე დაბალი - საჩხერის რაიონულ სასამართლოს (21.92%).

- 17 სასამართლოს მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის საერთო მაჩვენებელი 50%-ზე ნაკლებია.

- პროაქტიულად გამოქვეყნების თვალსაზრისით ერთ-ერთი ყველაზე პრობლემურია საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში, რომელიც მხოლოდ 2 სასამართლოს აქვს გამოქვეყნებული.

- ინფორმაციის თავისუფლების შესახებ ყოველწლიური ანგარიში გამოქვეყნებული აქვს მხოლოდ 12 სასამართლოს.

- ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად) ვებგვერდზე განთავსებული აქვს მხოლოდ 10 სასამართლოს.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად, სტატისტიკის შესახებ ინფორმაცია განახლებადია ცვლილების შემთხვევაში, რაც ზოგადი ფორმულირებაა. შედეგად, სასამართლოს სტატისტიკები არ ქვეყნდება სტანდარტული პერიოდულობით, მათი გამოქვეყნების სიხშირე დამოკიდებულია კონკრეტული სასამართლოს შეხედულებაზე.

- შესწავლილი 27 სასამართლოდან საკუთარი ვებგვერდის მისამართი 4 სასამართლოს აქვს, დანარჩენი 23 კი ფუნქციონირებს court.ge-ის (საქართველოს სასამართლოების ვებგვერდი) ბაზაზე. court.ge-ს ბაზაზე შექმნილი ვებგვერდების უმრავლესობას მსგავსი ხარვეზები აღენიშნება.

სასამართლო სტატისტიკა

- საქართველოში არ არსებობს სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს საერთო სასამართლოების სისტემაში სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავების ერთიან სტანდარტსა და მეთოდოლოგიას, თუმცა პრაქტიკაში სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას სასამართლოები ოფიციალური სტატისტიკური ანგარიშგების ერთიანი ფორმებით ახორციელებენ.

- სასამართლოების ვებგვერდებზე სტატისტიკური მონაცემები ერთიანი სტანდარტით არ ქვეყნდება.

- საერთო სასამართლოები დავათა საშუალო ხანგრძლივობის, ასევე, სამართალწარმოების თითოეული ეტაპის საშუალო ხანგრძლივობის შესახებ სტატისტიკურ ინფორმაციას არ აწარმოებენ, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს. სასამართლოები აღრიცხავენ მხოლოდ ვადის დაცვითა და დარღვევით განხილულ საქმეთა რაოდენობას.

- ახალ, დასრულებულ და წლის ბოლოს დარჩენილ საქმეთა რაოდენობის შესახებ, ასევე დავათა კატეგორიების მიხედვით ინფორმაციის გამოქვეყნების თვალსაზრისით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემები სრულ შესაბამისობაშია ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის კომისიის (CEPEJ) სტანდარტთან, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

- უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე სტატისტიკური მონაცემები ქვეყნდება დეტალურად დავათა/დანაშაულთა სახეების მიხედვით, თუმცა კატეგორიების მიხედვით არ ქვეყნდება სააპელაციო და საკასაციო საჩივრებით შესული საქმეების შესახებ ინფორმაცია.

- უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული პირველი ინსტანციის დავათა შესახებ სტატისტიკური მონაცემები ცალკეული ახალი ქვეკატეგორიების დამატებას საჭიროებს.

- უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე ქვეყნდება ჯამური სტატისტიკა ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით, ასევე დეტალური ინფორმაცია სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ შუამდგომლობების თაობაზე, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

- მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოები ამუშავებენ ინფორმაციას თითოეული ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარების შესახებ ტერიტორიული ადგილმდებარეობისა და სისხლის სამართლის კოდექსის მუხლების მიხედვით, არც უზენაესი სასამართლო და არც საქალაქო სასამართლოები ამ ინფორმაციას ვებგვერდზე არ აქვეყნებენ. ასევე, არ ქვეყნდება მონაცემები გადაუდებელი აუცილებლობისას ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების თაობაზე, რომელთა კანონიერება სასამართლომ შემდგომში ცნო/არ ცნო.

- უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე ოჯახში ძალადობის თაობაზე გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები სრულყოფილი არ არის. დამცავ ორდერებთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებში არ მოიპოვება ინფორმაცია რამდენმა პირმა მიმართა სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით. ასევე, არ არის მითითებული, პირველი ინსტანციის მიერ გამოცემული რამდენი დამცავი ორდერი გასაჩივრდა სააპელაციო წესით, მათ შორის, რამდენი დამცავი ორდერი გაუქმდა.

- უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე მოძალადესა და მსხვერპლს შორის ურთიერთობა, ასაკი ან/და მსხვერპლ არასრულწლოვანთა რაოდენობა გამოქვეყნებული არ არის არც დამცავ ორდერებთან და არც სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ სტატისტიკაში.[9] ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები არ ქვეყნდება ადგილმდებარეობის მიხედვით.[10]

- სააპელაციო სასამართლოების ვებგვერდებზე არ ქვეყნდება სააპელაციო საჩივრის განხილვის შედეგებისა და დავათა/დანაშაულთა სახეების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია.

- კვლევის პროცესში შესწავლილი პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან დავათა/დანაშაულთა კატეგორიების მიხედვით ჩაშლილ სტატისტიკურ მონაცემებს

[9] საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ამ ეტაპზე სასამართლოები სტამბოლის კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულებაზე მუშაობენ, სასამართლოებში 2021 წლიდან დაინერგება პროგრამა, სადაც სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული ყველა მონაცემი აისახება, ხოლო შემდგომ კი გამოქვეყნდება.

[10] საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეებზე აღნიშნული მონაცემები ხელმისაწვდომია მოთხოვნის შემთხვევაში.

მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლო აქვეყნებს. ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოების მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია საკმაოდ მწირია. სასამართლოების ვებგვერდებზე სტატისტიკური ინფორმაციის ფრაგმენტულად განთავსება ადამიანური და ტექნიკური რესურსების ნაკლებობას უკავშირდება.

- სასამართლო სისტემაში არ არსებობს ერთიანი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალება, რომელიც მაქსიმალურად ავტომატიზებულად წარმართავს სასამართლო სტატისტიკის წარმოების პროცესს.

- სასამართლო სტატისტიკის წარმოების არსებული პრაქტიკა სტატისტიკის სიზუსტის თვალსაზრისით მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს. მიუხედავად მონაცემების გადამოწმების გარკვეული მექანიზმებისა, არსებული პროცესის გათვალისწინებით, სიზუსტის სრული კონტროლი მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული.

- იმ სასამართლოებს, რომლებიც შედარებით ინფორმაციული კატეგორიების სიუხვით გამოირჩევა, მონაცემები წარმოდგენილი აქვს PDF ფორმატში, რაც ვერ პასუხობს ღია მონაცემების კარგ სტანდარტს. ცალკეული სასამართლოების შემთხვევაში, შექმნილია მონაცემთა ვიზუალიზაციის ელექტრონული საშუალებები, რომლებიც ვერ გამოირჩევა როგორც ინფორმაციული, ასევე ანალიტიკური ფუნქციონალის სიმდიდრით.

მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევაზე მუშაობის პროცესში კვლევის ავტორებმა გამოიყენეს შემდეგი მეთოდოლოგია:

სამართლებრივი აქტების ანალიზი

კვლევის ფარგლებში ავტორებმა შეისწავლეს შემდეგი საკანონმდებლო აქტები: ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, სამოქალაქო კოდექსი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, სისხლის სამართლის კოდექსი, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.

პროექტის გუნდმა ასევე დაამუშავა შემდეგი კანონქვემდებარე აქტები: საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის N466 ბრძანებულება და საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცებული სტატისტიკური სამუშაოების ყოველწლიური პროგრამა.

აღნიშნული სამართლებრივი აქტების ანალიზის შედეგად შეფასდა სასამართლო სტატისტიკის დამუშავების პრაქტიკა და გამოვლინდა არსებული ხარვეზები.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის N1/225 გადაწყვეტილებით დამტკიცებულია „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი და პროაქტიულად გამოქვეყნების წესი.“ ამ სამართლებრივ აქტზე დაყრდნობით, კვლევის ავტორებმა შეაფასეს სასამართლოების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის მაჩვენებელი.

საერთაშორისო სტანდარტების ანალიზი და სხვა ქვეყნების პრაქტიკის შესწავლა

კვლევის ავტორებმა შეისწავლეს ევროპის საბჭოს მართლმსაჯულების ეფექტიანობის კომისიის (CEPEJ) მიერ დადგენილი სტანდარტი, კერძოდ, სასამართლოს სტატისტიკის სახელმძღვანელო,[11] რომელიც მოიცავს დეტალურ რეკომენდაციებს სასამართლოების მიერ დასამუშავებელი სტატისტიკური მონაცემების თაობაზე. ავტორებმა შეაფასეს, რამდენად შეესაბამება საქართველოში ხელმისაწვდომი სტატისტიკური მონაცემები CEPEJ-ის რეკომენდაციებს.

გარდა CEPEJ-ის სტანდარტისა, პროექტის გუნდი ასევე დაეყრდნო საერთაშორისო გამოცდილებას და საქართველოში არსებული მდგომარეობა შეადარა სხვა ქვეყნების, კერძოდ, აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოს სასამართლო სტატისტიკის გამოქვეყნების პრაქტიკას. კვლევის პროცესში შერჩეულ იქნა ის ქვეყნები, სადაც „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის“ 2011 წლის კვლევის[12] თანახმად, გამჭვირვალობის თვალსაზრისით კარგი მდგომარეობაა.

[11] CEPEJ Guidelines on Judicial Statistics, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2AAoZ9i [წვდომის თარიღი: 29.09.2020].

[12] ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, „სასამართლო სტატისტიკისა და სხვა სახის საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება სასამართლოების ვებგვერდებზე“, 2011, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3dXZRrm [წვდომის თარიღი: 29.09.2020].

ა სასამართლოს სტატისტიკა

კვლევის ავტორებმა გააანალიზეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული საერთო სასამართლოების ძირითადი სტატისტიკური მონაცემები და გამოავლინეს რა კატეგორიის მონაცემები ქვეყნდება/არ ქვეყნდება ვებგვერდზე.

პროექტის გუნდმა ასევე შეაფასა შემდეგი სასამართლოების ვებგვერდებზე გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლო;
2. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო;
3. თბილისის საქალაქო სასამართლო;
4. ბათუმის საქალაქო სასამართლო;
5. რუსთავის საქალაქო სასამართლო.

კვლევის ავტორებმა ასევე შეისწავლეს სტატისტიკური მონაცემების ვებგვერდზე გამოქვეყნების ფორმატი და მონაცემთა ვიზუალიზაციის საშუალებები. კერძოდ, გაანალიზდა, რამდენად ხელმისაწვდომია სასამართლოების ვებგვერდებზე გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია ღია მონაცემების ფორმატში და რამდენად იყენებენ ვიზუალიზაციის საშუალებებს მომხმარებლისათვის მონაცემთა ანალიზის გასაადვილებლად.

ბ პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია

პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის მონიტორინგის ნაწილში კვლევის ავტორებმა შეისწავლეს 27 სასამართლოს ვებგვერდი და შეაფასეს, რამდენად იცავენ სასამართლოები იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/225 გადაწყვეტილებით დადგენილ წესს და რამდენად სრულყოფილად აქვეყნებენ საჯარო ინფორმაციას. თითოეულ პუნქტთან მიმართებით გუნდმა შეაფასა კონკრეტული სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია რამდენად სრულყოფილად პასუხობს საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. ვებგვერდების შეფასება განხორციელდა 2020 წლის 1-ლი ივნისიდან 30 ივნისის ჩათვლით დროის მონაკვეთში და ასახავს 2019 წლისა და 2020 წლის პირველი კვარტლის პერიოდში არსებულ მდგომარეობას.

კვლევის ავტორებმა გამოიყენეს ქულებით შეფასების შემდეგ მეთოდი:

1		2		3		4		5		6		7	
პუნქტი	ქულა	პუნქტი	ქულა	პუნქტი	ქულა	პუნქტი	ქულა	პუნქტი	ქულა	პუნქტი	ქულა	პუნქტი	ქულა
1.1	3	2.1	3	3.1	3	4.1	3	5.1	3	6.1	3	7.1	3
1.2	3	2.2	3	3.2	3	4.2	3	5.2	3	6.2	2	7.2	2
1.3	3	2.3	3	3.3	3	4.3	3	5.3	3			7.3	3
1.4	3	2.4	3			4.4	3	5.4	3			7.4	3
1.5	3	2.5	3					5.5	3				
1.6	3	2.6	3					5.6	3				
								5.7	3				
								5.8	3				
								5.9	3				
								5.10	3				
								5.11	3				
								5.12	4				
								5.13					

პროექტის გუნდმა შეაფასა სასამართლოების მიერ განთავსებული ინფორმაცია რამდენად სრულყოფილად პასუხობს საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრულ ვალდებულებებს როგორც შინაარსობრივი, ასევე მონაცემების პერიოდულად განთავსების თვალსაზრისით: ინფორმაცია არ დევს ან არ იძებნება - 0 ქულა, განთავსებული ინფორმაცია ფრაგმენტულია, რთულად ხელმისაწვდომია, შეიცავს უზუსტობას, დარღვეულია გამოქვეყნების პერიოდულობა - 1 ქულა; გამოქვეყნებული ინფორმაცია მეტწილად სრულფასოვანია - 2 ქულა; ინფორმაცია სრულად არის განთავსებული - 3 ქულა.

შეფასების ცხრილის მიხედვით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/225 გადაწყვეტილებით პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხაში გათვალისწინებული 38 პუნქტიდან 34 მათგანის მაქსიმალურმა შეფასებამ შეადგინა 3 ქულა, ხოლო 4 მათგანის შეფასების ქულა განისაზღვრა განსხვავებულად შემდეგ გარემოებათა გამო:

1. (5.13 და 5.12 პუნქტები - ერთობლივად 4 ქულა) - 5.13 პუნქტი ეხება საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული ფონდებიდან ადმინისტრაციული ორგანოსათვის გამოყოფილი თანხების შესახებ სამართლებრივ აქტებს, რაც პრაქტიკულად მოიცავს

5.12 პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას, რომელიც კვარტალურად ქვეყნდება. შესაბამისად, აღნიშნული პუნქტები შეფასდა ერთობლივად მაქსიმალური 4 ქულით;

2 (6.2 პუნქტი - 2 ქულა) - 6.2 პუნქტის მიხედვით უნდა გამოქვეყნდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტები, რომლებიც საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია. იქიდან გამომდინარე, რომ IDFI მოკლებულია შესაძლებლობას განსაზღვროს, თუ რომელ აქტს მიიჩნევს კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანო საზოგადოებრივი ინტერესის საგნად, მოცემული პუნქტი შეფასდა მაქსიმალური 2 ქულით.

3 (7.2 პუნქტი - 2 ქულა) - 7.2 პუნქტის მიხედვით განსაზღვრულია ინფორმაცია იმ მოსაკრებლის და ტარიფების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდაც ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრაციული ორგანოების უმრავლესობა არ სთავაზობს რაიმე სახის სერვისს და შესაბამისად არ ადგენს რაიმე სახის ტარიფს (გარდა საჯარო ინფორმაციის სახით გაცემული დოკუმენტების ასლის გადაღების საფასურისა), აღნიშნული პუნქტი შეფასდა მაქსიმალური 2 ქულით.

საბჭოს N1/225 გადაწყვეტილების თანახმად, რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებზე არ ვრცელდება პროაქტიულად გამოქვეყნების წესის დანართის **მე-4 ნაწილის, მე-5 ნაწილის პირველი, მე-2, მე-8-მე-13 პუნქტებისა და მე-7 ნაწილის მე-4 პუნქტის** მოთხოვნები. აქედან გამომდინარე, შესაბამისი სასამართლოების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია პროექტის გუნდმა შეაფასა იმ ვალდებულების ფარგლებში, რაც მათზე ვრცელდება.

ზემოთხსენებული ქულების გამოყენებით საბჭოს გადაწყვეტილებაში მოცემული 38 პუნქტის შეფასება კვლევაში აისახა კონკრეტული სასამართლოს გამჭვირვალობის ჯამური კოეფიციენტის სახით. კერძოდ, კვლევაში ნაჩვენებია თითოეული სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის შეფასება პროცენტებში, რაც ქმნის მკაფიო სურათს სასამართლოების მიერ საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების თაობაზე.

პროექტის გუნდმა N1/225 გადაწყვეტილების მიხედვით, ასევე შეაფასა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი,[13] რომელზეც ვრცელდება საჯარო ინფორმაციის ნუსხის ყველა პუნქტი და გამოავლინა როგორც საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების საერთო მაჩვენებელი, ისე პრობლემური კატეგორიები.[14]

საჯარო ინფორმაციის ანალიზი

სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის მონიტორინგის მიზნით, კვლევის ავტორებმა საჯარო ინფორმაცია 6 სასამართლოდან გამოითხოვეს:

[13] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი: http://hcoj.gov.ge/ [წვდომის თარიღი: 23.06.2020].

[14] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი შეფასდა 2020 წლის 13 ნოემბრის მდგომარეობით.

1. საქართველოს უზენაესი სასამართლო;
2. თბილისის სააპელაციო სასამართლო;
3. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო;
4. თბილისის საქალაქო სასამართლო;
5. ბათუმის საქალაქო სასამართლო;
6. რუსთავის საქალაქო სასამართლო.

აღნიშნული სასამართლოებიდან კვლევის ავტორებმა მოითხოვეს 2020 წლის 1 მაისის შემდგომ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების ასლები (პერსონალურ მონაცემთა დაფარვის გარეშე). პროექტის გუნდმა საქართველოს უზენაესი სასამართლოდან, თბილისის სააპელაციო სასამართლოდან და თბილისის საქალაქო სასამართლოდან დამატებით მოითხოვა გადაწყვეტილებების სრული ტექსტი ცალკეულ გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართ მაღალი საჯარო ინტერესი არსებობს. სასამართლოებიდან მიღებული პასუხების საფუძველზე, ავტორებმა შეაფასეს, რამდენად იცავენ სასამართლოები საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილ სტანდარტს და რამდენად უზრუნველყოფენ გადაწყვეტილებების სრული ტექსტის ხელმისაწვდომობას.

პროექტის გუნდმა ზემოაღნიშნული 6 სასამართლოდან ასევე გამოითხოვა 2018-2020 წლების სხვადასხვა სახის სტატისტიკური მონაცემები, რათა გამოქვეყნებული და სასამართლოში დამუშავებული სტატისტიკური ინფორმაციის ურთიერთშედარების გზით შეეფასებინა სასამართლოში სტატისტიკის წარმოება და ვებგვერდზე განთავსებული მონაცემები. კვლევის ავტორებმა ასევე გამოითხოვეს ის დოკუმენტები, რომლებიც განსაზღვრავს სტატისტიკის წარმოების წესებს, პროცედურებსა და ტექნიკურ საშუალებებს, ასევე, ადგენს სტატისტიკურ ფორმებს.

ინდივიდუალური ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფი

სასამართლოს გამჭვირვალობის კუთხით არსებული გამოწვევების დამატებით იდენტიფიცირების, ასევე განწყობებისა და მოსაზრებების ანალიზის მიზნით, პროექტის გუნდი წინასწარ შედგენილი კითხვარით ინდივიდუალურად გაესაუბრა ადვოკატებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. კვლევის ავტორებმა ჯამში 9 ინდივიდუალური ინტერვიუ ჩაატარეს. ინტერვიუები ჩატარდა 2020 წლის ოქტომბერში.

გარდა ამისა, პროექტის გუნდმა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების წარმომადგენლებთან ჯგუფური ინტერვიუ (ფოკუს-ჯგუფი) ჩაატარა.[15] ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებმა საერთო სასამართლოებში სტატისტიკის წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები[16] და არსებული გამოწვევები განიხილეს.

[15] ჯგუფური ინტერვიუ ჩატარდა 2020 წლის 20 ოქტომბერს.

[16] კითხვები შეეხებოდა სასამართლოების მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემების შინაარსობრივ მხარეს, მონაცემების აღრიცხვა/დამუშავების პროცესს, ამ პროცესში გამოყენებულ პროგრამულ საშუალებებს, წარმოებული სტატისტიკის სიზუსტის გადამოწმების მექანიზმებს, ბოლო წლებში სტატისტიკის წარმოების პროცესის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებს და სხვა საკითხებს.

ინტერვიუების შედეგები კვლევაში აისახა არა რესპონდენტების შეხედულებების განზოგადების, არამედ მათი მოსაზრებების ილუსტრაციის მიზნით.

მეორადი წყაროების ანალიზი

კვლევის ფარგლებში დამატებითი ინფორმაციის მიღების მიზნით, პროექტის გუნდმა შეისწავლა სახალხო დამცველის, ასევე ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ანგარიშები.

საქართველოში სასამართლო გადაწვეტილებათა ხელმისაწვდომობის ხარისხი საგრძნობლად გაუარესდა 2015 წლის ოქტომბრიდან. თუკი მანამდე სასამართლოები სრულყოფილი სახით გასცემდნენ გადაწყვეტილებათა ასლებს, შემდგომ პერიოდში დამკვიდრდა გადაწყვეტილებათა გაცემაზე პერსონალურ მონაცემების დაცვის არგუმენტაციაზე მითითებით უარის თქმის პრაქტიკა. საერთო სასამართლოები არ ითვალისწინებდნენ ამა თუ იმ საქმის მიმართ არსებულ განსაკუთრებით მაღალ საჯარო ინტერესს. დარღვეული იყო ბალანსი პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობას შორის, რადგან უპირობო უპირატესობა პერსონალურ მონაცემთა დაცვას ენიჭებოდა.

ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა“ და ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდის“ სარჩელების საფუძველზე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით[17] არაკონსტიტუციურად ცნო „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ დღეს მოქმედი კანონის მე-5 მუხლისა და მე-6 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემას.

საკონსტიტუციო სასამართლოს თანახმად, სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის მიმართ თავისთავად არსებობს მომეტებული საზოგადოებრივი ინტერესი იმის მიუხედავად, თუ რა სამართლებრივ საკითხს შეეხება, ვის მიმართ არის მიღებული და რა დატვირთვა აქვს კონკრეტულ დროში თუ კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე თითოეულ ინდივიდუალურ საქმეზე მიღებულ სასამართლო აქტს![18] შესაბამისად, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა იყოს ღია, თუ არ არის მისი ხელმისაწვდომობის შეზღუდვის დასაბუთებული საჭიროება.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს კანონმდებლის ლეგიტიმურ შესაძლებლობას, რომ პირის შესახებ არსებული ცალკეული კატეგორიის ინფორმაციასთან დაკავშირებით დაადგინოს იმგვარი ბალანსი, რომლის ფარგლებშიც, როგორც წესი, არ გაიცემა სასამართლო აქტებში მოცემული პერსონალური მონაცემები უშუალოდ სუბიექტის ნების გარეშე. ასეთი რეჟიმი შეიძლება დადგინდეს ინფორმაციის გავრცელების ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება ინფორმაციის შინაარსის, სუბიექტის, გასაჯაროების ფორმის, ვადის, მეთოდის თუ სხვა გარემოებების გათვალისწინებით, განსაკუთრებით ინტენსიურ გავლენას ახდენს პირად ცხოვრებაზე. მაგალითად, ასეთ კატეგორიაში შეიძლება მოექცეს მონაცემები არასრულწლოვანი პირების შესახებ, ინფორმაცია ინტიმურ სფეროებთან დაკავშირებით და სხვა![19]

[17] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

[18] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, § 51.

[19] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, § 66.

საკონსტიტუციო სასამართლოს ამგვარი განმარტება ცხადყოფს, რომ პირის მსჯავრდების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებამ, სხვა დამატებითი გარემოებების გარეშე, არ შეიძლება იმდენად ინტენსიური გავლენა მოახდინოს პირად ცხოვრებაზე, რომ აუცილებელი გახდეს იმგვარი ბალანსის დადგენა, რომლის ფარგლებშიც, როგორც წესი, არ გაიცემა სასამართლო აქტებში მოცემული პერსონალური მონაცემები. შესაბამისად, კანონმდებლობამ ამომწურავად და მკაფიოდ უნდა გაითვალისწინოს გამონაკლისი შემთხვევები, რომელიც ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მომეტებულ ინტერესს ადასტურებს.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ პირდაპირ აღნიშნა, რომ ამგვარი გამონაკლისი შემთხვევის არსებობისას, გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა მხედველობაში უნდა მიიღონ, ხომ არ არსებობს კონკრეტულ საქმეზე მომეტებული/გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესი, რომელიც, თავის მხრივ, საქმის კატეგორიის, სამართალწარმოების მონაწილეებისა თუ სხვა გარემოებების გათვალისწინებით, გადაწონის მონაცემების კონფიდენციალურობის დაცვის ინტერესს. მაგალითისთვის, თუ საქმე შეეხება სახელმწიფო პოლიტიკურ თანამდებობის პირს, შესაძლოა, არსებობდეს მის მიმართ მომეტებული/გაზრდილი საზოგადოებრივი ინტერესი და გამოირიცხოს ინფორმაციის დახურვის საფუძველი.[20]

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, შესაძლოა, შეიქმნას სისტემა, რომლის ფარგლებშიც ღია სხდომაზე მიღებულ სასამართლოს გადაწყვეტილებაში ასახული პერსონალური მონაცემების დაცვა დამოკიდებული იქნება იმაზე, აქვს თუ არა მისი კონფიდენციალურობის დაცვის ინტერესი უშუალოდ მონაცემთა სუბიექტს. მონაცემთა სუბიექტის ამგვარი ინტერესის შემთხვევაში, სასამართლოს გადაწყვეტილების ღიაობა სასამართლოს აქტებზე ხელმისაწვდომობის ინტერესისა და მასში ასახული პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის დაცვის ინტერესების დაბალანსების შედეგად გადაწყდება. ამგვარი სისტემა, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს პირადი ინფორმაციის მონაცემთა სუბიექტის ნების საწინააღმდეგოდ გასაჯაროების პრევენციას, ხოლო, მეორე მხრივ, იქნება სასამართლოს აქტებზე ხელმისაწვდომობის უფლების ნაკლებად შემზღუდველი საშუალება. ამავე დროს, ასეთი სისტემა არ ქმნის არაგონივრულ ადმინისტრაციულ ტვირთს მონაცემთა დამმუშავებლისათვის.[21]

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმები ძალადაკარგულად ცნო 2020 წლის 1 მაისიდან და საკანონმდებლო ორგანოს მისცა ვადა საკითხის კონსტიტუციის მოთხოვნათა შესაბამისად მოსაწესრიგებლად, თუმცა პარლამენტს საკანონმდებლო ცვლილება დღემდე[22] არ მიუღია.

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობაში ცვლილება არ შესულა, 2020 წლის 1 მაისიდან „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის შესაბამისი ნორმების ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც გამორიცხავს ღია სასამართლო სხდომის შედეგად მიღებული სასამართლო აქტების სრული ტექსტის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემას,

[20] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, § 66.

[21] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ა(ა)იპ „მედიის განვითარების ფონდი“ და ა(ა)იპ „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, § 33; 67; 70.

[22] 2021 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით.

ძალადაკარგულია. შესაბამისად, აღნიშნული თარიღის შემდეგ გადაწყვეტილებების გაცემისას სასამართლოებმა კონსტიტუციური სტანდარტით უნდა იხელმძღვანელონ. თუმცა, საჯარო ინფორმაციის სახით მოთხოვნის შემთხვევაში, საერთო სასამართლოები კვლავ არ გასცემენ გადაწყვეტილებების სრულ ტექსტს.

ერთ-ერთი რესპონდენტის შეფასებით, კომიკურია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებაში პირის მონაცემები ღიაა და იმავე საქმეზე უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება არის დაშტრიხული.[23] ადვოკატებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების შეხედულებით, გადაწყვეტილებები უნდა ქვეყნდებოდეს და საჯაროდ იყოს ხელმისაწვდომი, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტს ჯერ შესაბამისი ცვლილებები კანონმდებლობაში არ შეუტანია.[24] დაუსაბუთებელია სასამართლოს გადაწყვეტილებების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემაზე უარი. გადაწყვეტილებები ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იყოს ხელმისაწვდომი და სასამართლოს მათი გამოქვეყნება უნდა გაეგრძელებინა მინიმუმ იმ ფორმატით, რა ფორმატითაც აქამდე აქვეყნებდა.[25]

კვლევის ავტორებმა 6 სასამართლოდან[26] გამოითხოვეს 2020 წლის 1 მაისის შემდგომ მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების ასლები (პერსონალურ მონაცემთა დაფარვის გარეშე). ცალკეული სასამართლოების წერილობით პასუხში გადაწყვეტილებების სრული ტექსტის გაცემაზე უარის საფუძვლად მითითებულია ის ფაქტი, რომ სათანადო საკანონმდებლო ცვლილებები დღემდე არ განხორციელებულა. ისინი ასევე აღნიშნავენ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 44-ე მუხლის საფუძველზე, ისინი ვალდებული არიან დაიცვან სასამართლო აქტებში არსებული პერსონალური მონაცემები გამჟღავნებისგან.[27] უნდა აღინიშნოს, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლომ მსჯავრდებულის თანხმობით საჯარო ინფორმაციის სახით გასცა ერთი განაჩენის ასლი ამ პირის მონაცემების დაშტრიხვის გარეშე.[28]

პროექტის გუნდმა სამი სასამართლოდან[29] დამატებით მოითხოვა გადაწყვეტილებების სრული ტექსტი ცალკეულ გახმაურებულ საქმეებთან[30] დაკავშირებით, რომელთა მიმართ მაღალი საჯარო ინტერესი არსებობს. თუმცა, ამ შემთხვევაშიც სასამართლოებმა[31] პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით, არ გასცეს გადაწყვეტილებების სრული ტექსტი.

[23] ინფორმაცია ეფუძნება კვლევის ფარგლებში ადვოკატებთან და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუებს.

[24] ინფორმაცია ეფუძნება კვლევის ფარგლებში ადვოკატებთან და არსამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუებს.

[25] ინფორმაცია ეფუძნება კვლევის ფარგლებში ადვოკატებთან და არსამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუებს.

[26] საქართველოს უზენაესი სასამართლო; თბილისის სააპელაციო სასამართლო; ქუთაისის სააპელაციო სასამართლო; თბილისის საქალაქო სასამართლო; ბათუმის საქალაქო სასამართლო; რუსთავის საქალაქო სასამართლო.

[27] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 19 ივნისის Nპ-958-20 წერილი.
რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 19 ივნისის N589/გ წერილი.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 19 ივნისის N1/3193 წერილი.

[28] რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 19 ივნისის N589/გ წერილი.

[29] საქართველოს უზენაესი სასამართლო; თბილისის სააპელაციო სასამართლო; თბილისის საქალაქო სასამართლო.

[30] გიორგი უგულავას, მიხეილ კალანდიას, ირაკლი ოქრუაშვილის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებების ასლები.

[31] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 31 ივლისის Nპ-1198-20 წერილი.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 7 აგვისტოს N1/4714 წერილი.
თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 3 აგვისტოს N1-01149/17457 წერილი.

უნდა აღინიშნოს, რომ უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებულია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა საძიებო პროგრამა,[32] რომელიც დაინტერესებულ პირს მოძიებულ გადაწყვეტილებას აწვდის პერსონალური მონაცემების გამჟღავნების გარეშე, ანუ დაშტრიხული სახით.

2019 წელს შეიქმნა სასამართლო გადაწყვეტილებების ვებგვერდი[33], რომლის მეშვეობით შესაძლებელია სასურველი სასამართლოს გადაწყვეტილების მოძიება შესაბამისი დეტალური ფილტრების მიხედვით: საქმის ნომრის, გადაწყვეტილების თარიღისა და ტექსტის, სასამართლო ინსტანციისა და სასამართლოს დასახელების, საქმისა და დავის კატეგორიის, ასევე, გადაწყვეტილების ტიპის მიხედვით. ვებგვერდზე გამოქვეყნებულ გადაწყვეტილებებს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მათ ელექტრონულად ეცნობიან არა მხოლოდ პრაქტიკოსი იურისტები, არამედ მკვლევარები, სტუდენტები, ლექტორები, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები და სხვა დაინტერესებული პირები.[34] სასამართლო გადაწყვეტილებების ერთიან ბაზაში გამოქვეყნება და მათი ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესების თვალსაზრისით.

სასამართლო გადაწყვეტილებების საძიებო სისტემაში გამოქვეყნებულია 2018 წლის 1-ლი იანვრიდან 2020 წლის 30 აპრილამდე მიღებული გადაწყვეტილებები, პერსონალური მონაცემების დაფარვით. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 30 აპრილის შემდეგ, საერთო სასამართლოების მიერ მიღებული არცერთი გადაწყვეტილება არ არის გამოქვეყნებული, რაც კანონმდებლობის არსებით დარღვევას წარმოადგენს, რადგან „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონი პირდაპირ ითვალისწინებს ღია სხდომაზე საქმის არსებითი განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების საჯაროდ გამოქვეყნებას.[35]

ამგვარი პრაქტიკა ცხადყოფს, რომ სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის კუთხით სერიოზული გამოწვევები კვლავ არსებობს. სასამართლო ხელისუფლების მიმართ საზოგადოების ნდობის დაბალი ხარისხის პირობებში, მის საქმიანობაზე ეფექტური საზოგადოებრივი კონტროლი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რომლის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალება სწორედ სასამართლოს გამჭვირვალობაა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა და კონსტიტუციური სტანდარტის უგულებელყოფა მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ქვეყანაში კანონის უზენაესობას და საფრთხეს უქმნის ფუნდამენტურ დემოკრატიულ ღირებულებებს.

[32] ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3eVYXx3 [წვდომის თარიღი: 13.11.2020].

[33] ხელმისაწვდომია: http://ecd.court.ge/ [წვდომის თარიღი: 21.10.2020].

[34] ინფორმაცია ეფუძნება კვლევის ფარგლებში ადვოკატებთან და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუებს.

[35] „საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის მე-13 მუხლის მე-3 პუნქტი.

პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის N1/225 გადაწყვეტილებით[36] დამტკიცდა საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი და პროაქტიულად გამოქვეყნების წესი. ხსენებული ნორმატიული აქტი ადგენს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხას და სასამართლოებს ავალდებულებს საკუთარ ელექტრონულ რესურსზე პერიოდულად გამოაქვეყნონ და განაახლონ საჯარო ინფორმაცია, ასევე მიუთითონ ინფორმაციის განახლების თარიღი.

საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაცია თემატიკის მიხედვით 7 ჯგუფად იყოფა:

1. ზოგადი ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ;
2. საჯარო ინფორმაციის გვერდი;
3. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს საკადრო უზრუნველყოფის შესახებ;
4. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების და სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ;
5. ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოს დაფინანსებისა და ხარჯთაღრიცხვის შესახებ;
6. სამართლებრივი აქტები;
7. სხვა საჯარო ინფორმაცია.

საჯარო ინფორმაციის ნუსხა 38 პუნქტს მოიცავს, თუმცა ცალკეული პუნქტებით[37] გათვალისწინებული მოთხოვნები რაიონულ (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოებზე არ ვრცელდება.

წინამდებარე თავში შეფასებულია რამდენად სრულყოფილად პასუხობს 27 სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, ასევე, გამოვლენილია ინფორმაციის ის კატეგორიები, რომელთა ვებგვერდზე გამოქვეყნების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია/დაბალია. გარდა ამისა, კვლევის პროცესში ყურადღება გამახვილდა იმ პუნქტებზე, რომელთა მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს და შეფასდა მათი გამოქვეყნების კოეფიციენტი. ამ თავში ასევე განხილულია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საკუთარი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების ხარისხი და საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მაჩვენებელი.

[36] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის N1/225 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2YqRFe5, [წვდომის თარიღი: 06.11.2020]

[37] პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის მე-4 ნაწილის, მე-5 ნაწილის პირველი, მე-2, მე-8-მე-13 პუნქტები და მე-7 ნაწილის მე-4 პუნქტი.

5.1. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების რეიტინგი

ინფორმაციის განთავსების ყველაზე მაღალი საერთო მაჩვენებელი უზენაეს სასამართლოს (78.18%) აქვს, რომლის ვებგვერდზე განთავსებულია საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული ინფორმაციის დიდი ნაწილი. უნდა აღინიშნოს, რომ უზენაეს სასამართლოს ხელმისაწვდომობის დონის ასამაღლებლად შექმნილი აქვს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ცხრილი, რომელიც თითქმის ზუსტად ასახავს საბჭოს N1/225 გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ გამოსაქვეყნებელ ინფორმაციის ჩამონათვალს ბმულების სახით. შესაბამისად, მომხმარებელს მარტივად შეუძლია მოიძიოს ერთ სივრცეში პუნქტების მიხედვით დალაგებული საჯარო ინფორმაცია. როგორც ინდივიდუალური ინტერვიუების დროს იურისტებმაც აღნიშნეს, უზენაესი სასამართლო ვებგვერდზე ცხრილის სახით მოცემული საჯარო-ინფორმაცია საკმაოდ კომფორტულია მომხმარებლისთვის, რასაც ვერ ვიტყვით სხვა სასამართლოების ვებგვერდებზე, რადგან მათზე ინფორმაცია ფრაგმენტულად და ქაოტურად არის განთავსებული.[38]

ხსენებულ რეიტინგში მეორე ადგილს იკავებს **ბათუმის საქალაქო (71.23%)** სასამართლო, ხოლო მესამეს - **თელავის რაიონული სასამართლო (68.49%)**, რომელთა ვებგვერდებზეც ცხრილს ვერ ნახავთ, თუმცა თემატური გრაფების მეშვეობით საჯარო ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილის მოძიება არის შესაძლებელი. შეფასების ყველაზე დაბალი ნიშნული 21.92%-ის ოდენობით მიენიჭა საჩხერის რაიონულ სასამართლოს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია თითოეული სასამართლოს მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული ინფორმაციის შეფასების ჯამური კოეფიციენტი (დალაგებულია მაღალი შეფასებიდან კლების მიმართულებით), რომელიც ასახავს კონკრეტული სასამართლოს მხრიდან იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დადგენილი მოთხოვნების შესრულების საერთო მაჩვენებელს.

[38] ინფორმაცია ეფუძნება კვლევის ფარგლებში ადვოკატებთან და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუებს.

N	სასამართლო	ჯამური კოეფიციენტი
1	საქართველოს უზენაესი სასამართლო	78.18%
2	ბათუმის საქალაქო სასამართლო	71.23%
3	თელავის რაიონული სასამართლო	68.49%
4	სენაკის რაიონული სასამართლო	64.38%
5	ახალციხის რაიონული სასამართლო	63.01%
6	ოზურგეთის რაიონული სასამართლო	57.53%
7	ზესტაფონის რაიონული სასამართლო	54.79%
8	თბილისის საქალაქო სასამართლო	52.05%
9	ზუგდიდის რაიონული სასამართლო	52.05%
10	ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო	50.68%
11	თბილისის სააპელაციო სასამართლო	46.58%

N	სასამართლო	ჯამური კოეფიციენტი
12	სიღნაღის რაიონული სასამართლო	46.58%
13	ქუთაისის სააპელაციო სასამართლო	45.21%
14	ხაშურის რაიონული სასმართლო	43.84%
15	ფოთის საქალაქო სასამართლო	38.36%
16	ახალქალაქის რაიონული სასამართლო	38.36%
17	ცაგერის რაიონული სასამართლო	36.99%
18	რუსთავის საქალაქო სასამართლო	34.25%
19	ამბროლაურის რაიონული სასამართლო	34.25%
20	თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო	32.88%
21	მცხეთის რაიონული სასამართლო	32.88%
22	ქუთაისის საქალაქო სასამართლო	31.51%

23	სამტრედიის რაიონული სასამართლო	31.51%
24	ბოლნისის რაიონული სასამართლო	31.51%
25	გურჯაანის რაიონული სასამართლო	31.51%
26	გორის რაიონული სასამართლო	27.40%
27	საჩხერის რაიონული სასამართლო	21.92%

5.2. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მატარებელი ინფორმაციის გამოქვეყნების მაჩვენებელი

ამ ქვეთავში გამოყოფილია იმ ინფორმაციის გამოქვეყნების მაჩვენებელი, რომელიც, კვლევის ავტორების შეფასებით, სხვებთან შედარებით უფრო მნიშვნელოვანია, კერძოდ: საბჭოს გადაწყვეტილების 1.3 (წლიური ანგარიში), 2.5 (წლიური ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების შესახებ), 5.3 (ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ), 7.3 (სტატისტიკური მონაცემები) პუნქტები, რომელთა მიმართ სხვა პუნქტებთან შედარებით უფრო მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს.

1.3 პუნქტით სასამართლოებს ევალებათ თავიანთ ელექტრონულ რესურსზე განათავსონ საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში. შემოწმებული 27 სასამართლოდან აღნიშნული მოთხოვნა სრულყოფილი სახით არცერთ სასამართლოს არ ჰქონდა შესრულებული.[39] საანგარიშო პერიოდისთვის მათ, ჯერ კიდევ, მარტის თვეში გამოქვეყნებული უნდა ჰქონოდათ 2019 წლის ანგარიში. წლიური ანგარიში მხოლოდ 2 სასამართლოს ჰქონდა ვებგვერდზე განთავსებული, თუმცა ამ ორიდან არცერთ მათგანს არ დაუმსახურებია მაქსიმალური შეფასება (იხ. ცხრილი). რუსთავის სასამართლოს მხრიდან წლიური ანგარიშის power point-ის პრეზენტაციის ფორმატით განთავსების ფაქტი ნათლად აჩვენებს წლიური ანგარიშის გამოქვეყნების საერთო სტანდარტის შემუშავების საჭიროებას.

[39] 2020 წლის ივნისის მონაცემებით.

სასამართლოები, რომელთაც გამოქვეყნებული აქვთ წლიური ანგარიში	მაქსიმალური შეფასება	მიღებული შეფასება
1. თბილისის სააპელაციო სასამართლო	3	2
2. რუსთავის საქალაქო სასამართლო	3	2

საბჭოს გადაწყვეტილების 2.5 პუნქტის მიხედვით, უნდა გამოქვეყნდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტისათვის წარდგენილი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში (ე.წ. 10 დეკემბრის ანგარიში). ხსენებული ანგარიში გამოქვეყნებული ჰქონდა 12 სასამართლოს, განთავსებული ანგარიშებიდან უმეტესმა მათგანმა უმაღლესი შეფასება - 3 ქულა დაიმსახურა (იხ. ცხრილი).

უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლოები ანგარიშს აქვეყნებენ ინდივიდუალურად შემუშავებული ფორმით, არ იყენებენ ერთიან სტანდარტს, ხშირია შემთხვევები, როდესაც უგულებელყოფილია სზაკ-ის 49-ე მუხლის მოთხოვნების უმეტესობა და გამოქვეყნებულია მხოლოდ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით სასამართლოში შესული განცხადებების რაოდენობის შესახებ მონაცემები.

სასამართლოები, რომელთაც გამოქვეყნებული აქვთ ინფორმაციის თავისუფლების შესახებ წლიური ანგარიში	მაქსიმალური შეფასება	მიღებული შეფასება
1. საქართველოს უზენაესი სასამართლო	3	3
2. თბილისის სააპელაციო სასამართლო	3	3
3. ბათუმის საქალაქო სასამართლო	3	3
4. თელავის რაიონული სასამართლო	3	3

5. სიღნაღის რაიონული სასამართლო	3	3
6. ბოლნისის რაიონული სასამართლო	3	3
7. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო	3	3
8. სენაკის რაიონული სასამართლო	3	2
9. სამტრედიის რაიონული სასამართლო	3	2
10. თბილისის საქალაქო სასამართლო	3	2
11. ზუგდიდის რაიონული სასამართლო	3	2
12. ხაშურის რაიონული სასამართლო	3	1

საბჭოს გადაწყვეტილების 5.3 პუნქტის თანახმად, სასამართლოები ვალდებულები არიან ყოველ სამ თვეში ვებგვერდზე გამოაქვეყნონ ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ თანამდებობის პირებზე (ჯამურად) და სხვა თანამშრომლებზე (ჯამურად). ხსენებული ინფორმაცია განთავსებული აქვს 10 სასამართლოს, დანარჩენ 17 მათგანს ან საერთოდ არ უდევს აღნიშნული ინფორმაცია ან ვებგვერდზე გამოქვეყნებული აქვს ძველი მონაცემები (იხ. ცხრილი).

სასამართლოები, რომელთაც გამოქვეყნებული აქვთ ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების კვარტალური ოდენობების შესახებ	მაქსიმალური შეფასება	მიღებული შეფასება
1. საქართველოს უზენაესი სასამართლო	3	3
2. ბათუმის საქალაქო სასამართლო	3	3
3. ზესტაფონის რაიონული სასამართლო	3	3
4. ზუგდიდის რაიონული სასამართლო	3	3
5. ოზურგეთის რაიონული სასამართლო	3	3
6. თელავის რაიონული სასამართლო	3	3
7. ახალციხის რაიონული სასამართლო	3	3
8. სენაკის რაიონული სასამართლო	3	3
9. სიღნაღის რაიონული სასამართლო	3	3
10. ახალქალაქის რაიონული სასამართლო	3	3

საბჭოს გადაწყვეტილების 7.3 პუნქტი ეხება ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების ვალდებულებას. ხსენებული მოთხოვნა მეტ-ნაკლები სისრულით შეასრულა 16-მა სასამართლომ, საიდანაც სტატისტიკის წარმოებისა და მისი ვებგვერდზე გამოქვეყნების თვალსაზრისით სამაგალითოა უზენაესი სასამართლო და თბილისის საქალაქო სასამართლო (იხ. ცხრილი).

სასამართლოები, რომელთაც გამოქვეყნებული აქვთ სტატისტიკური მონაცემები	მაქსიმალური შეფასება	მიღებული შეფასება
1. საქართველოს უზენაესი სასამართლო	3	3
2. თბილისის საქალაქო სასამართლო	3	3
3. თბილისის სააპელაციო სასამართლო	3	2
4. ზუგდიდის რაიონული სასამართლო	3	1
5. ბათუმის საქალაქო სასამართლო	3	1
6. ბოლნისის რაიონული სასამართლო	3	1
7. სენაკის რაიონული სასამართლო	3	1
8. სიღნაღის რაიონული სასამართლო	3	1
9. ზესტაფონის რაიონული სასამართლო	3	1

10. რუსთავის საქალაქო სასამართლო	3	1
11. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო	3	1
12. ქუთაისის საქალაქო სასამართლო	3	1
13. თელავის რაიონული სასამართლო	3	1
14. ახალციხის რაიონული სასამართლო	3	1
15. ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო	3	1
16. ხაშურის რაიონული სასამართლო	3	1

უნდა აღინიშნოს, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/225 გადაწყვეტილებაში 7.3 პუნქტთან დაკავშირებით მითითებულია, რომ სტატისტიკის შესახებ ინფორმაცია განახლებადია ცვლილების შემთხვევაში. ამგვარი ჩანაწერი ართულებს შეფასების გაკეთებას, რადგან სასამართლოების დიდი ნაწილი ამ ზოგად ფორმულირებაზე დაყრდნობით ელექტრონულ რესურსზე არ აქვეყნებს განახლებულ მონაცემებს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი უზენაესი სასამართლოსთვის გადასაცემად სტატისტიკას ამუშავებენ.

მიზანშეწონილია, დადგენილი იყოს საბჭოს გადაწვეტილების 7.3 პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის შესახებ სტატისტიკის გამოქვეყნების კონკრეტული ვადა (მაგალითად, კვარტალურად), რაც უზრუნველყოფს სასამართლოების მხრიდან მკაფიო ორიენტირის აღებას და შესაბამისი ინფორმაციის დროულად გამოქვეყნებას. არსებული რედაქციით კი, ისიც შესაძლებელია, რომ სასამართლოები ვალდებულნი იყვნენ თითოეული შემოსული და დასრულებული საქმის შემდეგ განაახლონ ვებგვერდზე განთავსებული სტატისტიკა, რადგან საქმის განხილვის შესახებ მონაცემები ყოველდღიურად იცვლება.

სასამართლოს სტატისტიკა არ ქვეყნდება სტანდარტული პერიოდულობით, მათი გამოქვეყნების სიხშირე დამოკიდებულია კონკრეტული სასამართლოს უფლებამოსილი პირის შეხედულებაზე. ზოგიერთი სასამართლოს ვებგვერდზე საქმიანობის სტატისტიკა ქვეყნდება ყოველკვირეულად, ზოგიერთ მათგანზე კი - კვარტალურად ან ყოველწლიურად. უმჯობესია, არსებული ჩანაწერი შეიცვალოს და დადგინდეს ერთგვაროვანი სტანდარტი, რომლითაც ყველა სასამართლო თანაბრად იხელმძღვანელებს.

5.3. ინფორმაცია, რომელთა გამოქვეყნების მაჩვენებელი ყველაზე დაბალია

ცხრილში მოცემულია ინფორმაციის ის კატეგორიები, რომლებიც ყველაზე პრობლემურია ვებგვერდზე განთავსების თვალსაზრისით და გამოქვეყნების ყველაზე დაბალი საერთო მაჩვენებელი აქვს.

პუნქტი	პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია	გამოქვეყნების მაჩვენებელი
1.4	ადმინისტრაციული ორგანოს მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები	4%
1.3	ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში	5%
3.2	ნორმატიული აქტები, რომლებიც განსაზღვრავს სასამართლოში კონკურსის ჩატარების წესებს	15%
7.3	ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები	26%
5.7	ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ჯამურად	26%
5.6	ინფორმაცია საწვავის მოხმარებაზე გაწეული ხარჯის შესახებ ჯამურად	26%
5.5	ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ჩამონათვალი მოდელის მითითებით	26%
3.1	ადმინისტრაციულ ორგანოში გამოცხადებული ვაკანტური პოზიციების ჩამონათვალი, კონკურსის შედეგები (მხოლოდ კონკურსში გამარჯვებულ პირთა ვინაობა), კონკურსის შედეგების გასაჩივრების წესი და პროცედურა	28%

2.5	საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლით გათვალისწინებული ყოველწლიური ანგარიში	36%
2.4	ადმინისტრაციული საჩივრის ფორმები/ნიმუშები და ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ	37%

5.4. ინფორმაცია, რომელთა გამოქვეყნების მაჩვენებელი ყველაზე მაღალია

ცხრილში მოცემულია ინფორმაციის ის კატეგორია, რომელსაც გამოქვეყნების ყველაზე მაღალი საერთო მაჩვენებელი აქვს.

პუნქტი	პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია	პროცენტი
7.2	ინფორმაცია იმ მოსაკრებლების, ტარიფებისა და საფასურების შესახებ, რომლებიც დადგენილია ან/და რომელთა გადახდევინება ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ	100%
2.1	საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურის ელექტრონული ფოსტა, სამსახურის ტელეფონისა და ფაქსის ნომრები	96%
6.2	ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები, რომლებიც, სასამართლოს შეფასებით, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველია	87%
3.3	ადმინისტრაციულ ორგანოში დასაქმებულ პირთა ოდენობა კატეგორიების მითითებით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში	78%
1.5	ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელის, მოადგილეების, წევრების, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების შესახებ ინფორმაცია: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები	73%
2.3	საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ განცხადების ფორმა, ნიმუში და შევსების ინსტრუქცია	72%
1.6	ადმინისტრაციული ორგანოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ფაქსის ნომერი, ცხელი ხაზის ნომერი	70%

7.1	სასამართლოს სერვისების შესახებ ინფორმაცია	68%
1.2	ადმინისტრაციული ორგანოსა და მისი სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები (დებულება/წესდება, შინაგანაწესი)	53%
1.1	ადმინისტრაციული ორგანოს სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა	48%

5.5. სასამართლოების ვებგვერდებზე გამოვლენილი ხარვეზები

შესწავლილი 27 სასამართლოდან საკუთარი ვებგვერდის მისამართი აქვს 4 სასამართლოს (თბილისის და ქუთაისის სააპელაციო, თბილისის საქალაქო და საქართველოს უზენაეს სასამართლოებს), დანარჩენი 23 კი ფუნქციონირებს court.ge-ის (საქართველოს სასამართლოების ვებგვერდი) ბაზაზე. court.ge-ს ბაზაზე შექმნილი ვებგვერდების უმრავლესობას აღენიშნება მსგავსი ხარვეზები, მაგალითად, ელექტრონულ რესურსზე განთავსებული არა ფუნქციონირებადი ბმულები. ბმულების ნაწილი საერთოდ არ იხსნება (ფიქსირდება სერვერის შეცდომა), ნაწილზე გადასვლისას ვხვდებით ცარიელ გვერდზე ან გადამისამართება ხდება თბილისის საქალაქო სასამართლოს საცდელ რეჟიმში მომუშავე ვებგვერდის მთავარ გვერდზე. ელექტრონული რესურსების თემატური გრაფები (ველები) არ არის სათანადოდ ათვისებული, მათზე განთავსებულია ძველი მონაცემები, ხოლო რელევანტური საჯარო ინფორმაცია, რიგ შემთხვევაში, დევს არათემატურ განყოფილებაში. მაგალითად, თითქმის ყველა ვებგვერდს აქვს ვაკანსიებისთვის განკუთვნილი გრაფა, თუმცა მათზე არც განახლებული ინფორმაცია დევს და არც ძველი ვაკანსიების არქივია ხელმისაწვდომი, შესაბამისი ინფორმაციის მოძიება საერთო ძიების ველიდან არის შესაძლებელი. სასამართლო ვებგვერდების მომხმარებელი იურისტები აღნიშნავენ, რომ არათემატური განთავსებისა და განახლების პრობლემის გამო, განსაკუთრებით რთულია რაიონული სასამართლოების ვებგვერდებზე ინფორმაციის მოპოვება, მათი შეფასებით ხსენებული ვებგვერდები გაუმართავია.[40]

სასამართლოების ვებგვერდების მნიშვნელოვანი ხარვეზია სხვადასხვა ველზე განთავსებული საკანონმდებლო აქტების არაკონსოლიდირებული ვერსიები, რომლით სარგებლობამაც შეიძლება მომხმარებელი შეცდომაში შეიყვანოს. სწორედ ეს არის მიზეზი იმისა, რომ პრაქტიკოსი იურისტები არ იყენებენ სასამართლოების ვებგვერდებზე განთავსებულ სამართლებრივ აქტებს.[41] ამასთან, ვებგვერდების უმრავლესობაზე განთავსებული საკანონმდებლო აქტების დიდი ნაწილი არ იხსნება ან გადამისამართება ხდება tcc.gov.ge-ს მთავარ გვერდზე, რაც უარყოფითად აისახება სასამართლოს ინფორმაციის განთავსების საერთო მაჩვენებელზე.

[40] ინფორმაცია ეფუძნება კვლევის ფარგლებში ადვოკატებთან და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუებს.

[41] ინფორმაცია ეფუძნება კვლევის ფარგლებში ადვოკატებთან და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუებს.

გარდა ამისა, პრობლემას წარმოადგენს ვებგვერდზე მოსამართლეების ან მოხელეების მონაცემების სრულყოფილად გამოქვეყნება. საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ინფორმაციის ჩამონათვალი ვებგვერდებზე სრულყოფილად განთავსებული არ არის. ასევე, ხშირია ხარვეზები სასამართლოს სტრუქტურისა და ფუნქციების აღწერის გამოქვეყნების მიმართულებით.

ინდივიდუალური ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა მოსამართლის თანაშემწეების საკონტაქტო ნომრებისა და პროცესის განრიგების, მათ შორის, პირველი წარდგენის სხდომების,[42] სასამართლოების ვებგვერდზე განთავსების საჭიროება.[43] რიგ შემთხვევაში, ინფორმაცია დევს, თუმცა არ არის ზუსტი და საჭიროებს განახლებას. სასურველია, სასამართლოს ვებგვერდებზე განთავსებული იყოს ინფორმაცია დავის ალტერნატიული გადაწყვეტის გზების შესახებ.[44]

საბოლოო ჯამში, სასამართლოების ელექტრონულ რესურსებს, ვებ-ადმინისტრირების კუთხით, საკმაოდ ბევრი ხარვეზი აქვს, რაც გამოსწორებას საჭიროებს, რათა ვებგვერდებმა სრულფასოვნად შეასრულოს თავისი ფუნქცია და მომხმარებელს მიაწოდოს განახლებული, შინაარსობრივად გამართული, თემატური ინფორმაცია, რომლის განთავსების ადგილიც მარტივად ხელმისაწვდომი იქნება.

5.6. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების მაჩვენებელი

იუსტიციის უმაღლეს საბჭოს, სასამართლოების მსგავსად, საბჭოს N1/225 გადაწყვეტილების მიხედვით ევალება საჯარო ინფორმაციის საკუთარ ვებგვერდზე გამოქვეყნება.[45] პროექტის გუნდმა შეაფასა საბჭოს ელექტრონულ რესურსზე[46] პროაქტიულად განთავსებული ინფორმაცია და გამოავლინა ის კატეგორიები, რომელთა გამოქვეყნებაც პრობლემურია. საგულისხმოა, რომ საბჭოზე ვრცელდება ხსენებული გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის ნუსხის 38-ივე პუნქტი.

დადებითად უნდა შეფასდეს პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ცხრილის საბჭოს ვებგვერდზე არსებობა, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს სასურველი ინფორმაციის მოძიება მარტივად შეუძლია, თუმცა მიზანშეწონილია, ამ ცხრილის თვალსაჩინო ადგილზე განთავსება. უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოს ვებგვერდს თითქმის არ აღენიშნება ის ტექნიკური ხარვეზები, რომლებიც მრავლად გვხვდება რაიონული თუ საქალაქო სასამართლოების ელექტრონულ რესურსებზე.

[42] იგულისხმება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირის ადმინისტრაციული დაკავების ფარგლებში სასამართლოში პირველი წარდგენის სხდომა.

[43] ინფორმაცია ეფუძნება კვლევის ფარგლებში ადვოკატებთან და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუებს.

[44] ინფორმაცია ეფუძნება კვლევის ფარგლებში ადვოკატებთან და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ჩატარებულ ინტერვიუებს.

[45] საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის N1/225 გადაწყვეტილება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2YqRFe5 [წვდომის თარიღი: 23.06.2020].

[46] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდი: http://hcoj.gov.ge/ [წვდომის თარიღი: 23.06.2020].

საბჭოს მიერ საჯარო ინფორმაციის ვებგვერდზე გამოქვეყნების საერთო მაჩვენებელი შეადგენს 43.64%-ს, რაც ცხადყოფს, რომ ის ჩამორჩება არაერთი სასამართლოს საერთო მონაცემს. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ელექტრონულ რესურსზე არ უდევს (ან არ აქვს განთავსებული განახლებული სახით) N1/225 გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის ნახევარზე მეტი, მათ შორის, ინფორმაციის თავისუფლების შესახებ წლიური ანგარიში, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა, ინფორმაცია სახელმწიფო ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ, ადმინისტრაციული ორგანოს დაზუსტებული ბიუჯეტები, ინფორმაცია გაცემული სარგოს, დანამატებისა და პრემიების შესახებ, ინფორმაცია საწვავის მოხმარებასა და ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკურ მომსახურებაზე გაწეული ხარჯის შესახებ, საქმიანობის შესახებ სტატისტიკა და სხვა. სასამართლო სისტემის მაკოორდინირებელი ორგანოს კვალობაზე, ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების არსებული მაჩვენებელი ვერ ჩაითვლება სახარბიელო შედეგად. შეფასებამ აჩვენა, რომ საბჭო არ ასრულებს საკუთარ გადაწყვეტილებას და ელექტრონულად არ აქვეყნებს საჯარო ინფორმაციის უმეტეს ნაწილს.

საბოლოო ჯამში, სასამართლოებისა და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მხრიდან ყველაზე ხშირად N1/225 გადაწყვეტილების მე-3 მუხლი ირღვევა, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოებს ავალდებულებს უზრუნველყონ ელექტრონულად გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტე, ნამდვილობა და პერიოდული განახლება. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობა უარყოფითად აისახება სასამართლო სისტემის გამჭვირვალობაზე.

ეს თავი აანალიზებს საერთო სასამართლოების ვებგვერდებზე გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებს. პირველი ქვეთავი განიხილავს და აფასებს სასამართლო სტატისტიკის წარმოების პრაქტიკას. მომდევნო ქვეთავი ეთმობა მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის სტანდარტის განხილვასა და საქართველოში არსებული მდგომარეობის შეფასებას. მე-3 ქვეთავი განიხილავს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას: საერთო სასამართლოებში სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეების განხილვის, ასევე ოჯახში ძალადობისა და ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა შესახებ სტატისტიკას. მომდევნო ორი ქვეთავი შეეხება სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების (თბილისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოები) ვებგვერდებზე განთავსებულ მონაცემებს განხილულ საქმეებთან დაკავშირებით. მე-6 ქვეთავი განიხილავს და აფასებს გამოქვეყნებული ინფორმაციის ფორმატს. ბოლო ქვეთავში კი მოცემულია დასკვნითი შეფასება.

6.1. სასამართლო სტატისტიკის წარმოების პრაქტიკა

სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიის[47] მიხედვით, ანგარიშვალდებული მართლმსაჯულების უზრუნველყოფისათვის ერთ-ერთი ძირითადი გამოწვევა სასამართლო სისტემაში სტატისტიკის წარმოების არაერთგვაროვნება და ანალიტიკური მიმართულების თანამედროვე სტანდარტის არარსებობაა. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სასამართლო სტატისტიკის წარმოების პრინციპი ხარვეზიანია, ერთიანი მეთოდოლოგიით ვერ ხორციელდება, არ არსებობს ერთიანი პროგრამული უზრუნველყოფა და ვერ ხდება სასამართლო ინსტანციებს შორის ინფორმაციის გაცვლა. სტრატეგიის თანახმად, სასამართლოებში სათანადოდ არ არის განვითარებული სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავებისა და ანალიზის მეთოდოლოგია და სტატისტიკა ნაკლებად არის მომხმარებელზე ორიენტირებული. აღნიშნული გამოწვევების ფონზე, სტრატეგია ითვალისწინებს სტატისტიკური ფორმების, ანალიტიკური ანგარიშებისა და მათი გავრცელების მექანიზმების დახვეწას, ასევე, სტატისტიკის წარმოების ერთგვაროვანი მეთოდოლოგიის შემუშავებასა და შესაბამისი ელექტრონული პროგრამების დანერგვას.

სასამართლო სტატისტიკის წარმოებასთან დაკავშირებული გამოწვევების, ასევე სტრატეგიის განხორციელების პროცესში დანერგილი მექანიზმების შესწავლის მიზნით, IDFI-მ კვლევის ობიექტ სასამართლოებს[48] მიმართა ყველა იმ მარეგულირებელი დოკუმენტის მოთხოვნით, რომელიც განსაზღვრავს სტატისტიკის წარმოების წესებს, პროცედურებსა და ტექნიკურ

[47] სასამართლო სისტემის სტრატეგია 2017-2021 წლებისთვის, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Gd3a2H [წვდომის თარიღი: 30.10.2020].

[48] საქართველოს უზენაესი სასამართლო, სააპელაციო სასამართლოები, თბილისის, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოები.

ტექნიკურ საშუალებებს, ასევე, ადგენს სტატისტიკურ ფორმებს, რომლის საშუალებითაც იწარმოება სტატისტიკა. აღნიშნული მოთხოვნის პასუხად სააპელაციო და საქალაქო სასამართლოებიდან[49] IDFI-მ მიიღო ერთმანეთის იდენტური ზოგადი განმარტება, რომლის მიხედვით, ისინი სტატისტიკას აწარმოებენ უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებული და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებული სტატისტიკური ფორმების შევსების გზით, რომლებიც იგზავნება უზენაეს სასამართლოში.

უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით,[50] სასამართლოებში სტატისტიკის წარმოების წესი შემდეგი დოკუმენტებით განისაზღვრება:

- საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის N466 ბრძანებულება;
- საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან გაგზავნილი 2002 წლის 18 თებერვლის N15/03-08/01 წერილი (ძირითადი ოფიციალური სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შეთანხმების თაობაზე).
- საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სტატისტიკური სამუშაოების ყოველწლიური პროგრამა;
- სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ 2010 წლის უწყებათაშორისი ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი;
- უზენაესი სასამართლოს მიერ შედგენილი ინსტრუქციები.

საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 27 ოქტომბრის N466 ბრძანებულებით დამტკიცებულია რაიონული (საქალაქო), საოლქო, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებში ორგანიზაციული მუშაობისა და საქმისწარმოების წესის შესახებ დებულება. ამ დებულების XII თავი არეგულირებს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებისა და სხვა მასალების რეგისტრაციის და აღრიცხვის წესებს. აღნიშნულ წესებში, 2000 წლის შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ შესულა და სასამართლო სტატისტიკის ელექტრონულ წარმოებასთან დაკავშირებით არაფერია ნახსენები. მაგალითად, 50-ე მუხლის მიხედვით სააღრიცხვო სტატისტიკური ბარათები ნუმერაციის მიხედვით ინახება კარტოთეკებში ცალ-ცალკე სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე ისე, რომ ბოლო ნომერი მოთავსებული უნდა იყოს კარტოთეკის წინა ნაწილში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2002 წლის 18 თებერვლის N15/03-08/01 წერილით სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმდა ძირითადი ოფიციალური სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები (კვარტალური და წლიური). აღნიშნული წერილის მოწოდება ვერც უზენაესი და ვერც სტატისტიკის სამსახურის მიერ ვერ მოხერხდა, ვინაიდან მისი ხანდაზმულობიდან გამომდინარე უკვე განადგურებულია.

[49] რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 19 ივნისის N589/გ წერილი.
თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 19 ივნისის N1/3193 წერილი.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 19 ივნისის N465-2/10 წერილი.
ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 19 ივნისის N332გ/კ წერილი.
თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 18 ივნისის N1-01119/11328 წერილი.

[50] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 19 ივნისის Nპ-958-20 წერილი.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცებული სტატისტიკური სამუშაოების ყოველწლიური პროგრამები და სისხლის სამართლის სტატისტიკის ერთიანი ანგარიშის გამოცემის შესახებ 2010 წლის უწყებათაშორისი ურთიერთშეთანხმების მემორანდუმი ძირითადად განსაზღვრავს იმ სტატისტიკურ მონაცემებს, რომელიც კონკრეტულმა უწყებებმა საანგარიშო პერიოდში უნდა აწარმოონ. ეს დოკუმენტები ნაკლებად უკავშირდება სტატისტიკის წარმოების წესების, პროცედურებისა და ტექნიკური საშუალებების რეგულირებას.

უზენაესი სასამართლოს მიერ წარმოდგენილი სასამართლოებში სტატისტიკის წარმოების მარეგულირებელი დოკუმენტების ანალიზი აჩვენებს, რომ ბოლო წლებში, სტატისტიკის წარმოების წესებისა და ტექნიკური საშუალებების განსაზღვრასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი დოკუმენტურ/სამართლებრივი ცვლილებები არ განხორციელებულა. უზენაესი სასამართლოს განმარტებით, სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შევსების პროცედურები და ტექნიკური საშუალებები გაწერილია მათი შევსების ინსტრუქციებში.

უზენაესმა სასამართლომ IDFI-ს მიაწოდა[51] სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების შევსების ინსტრუქციები, სადაც წარმოდგენილია მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეების აღრიცხვის სტატისტიკური ბარათები (ფორმა N1-ო და ფორმა N2-ო) და პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ საგამოძიებო ხაზით ჩატარებული მუშაობის შესახებ (ფორმა N7); ფორმა N1-ო წარმოადგენს სტატისტიკურ ბარათს სასამართლოში შემოსულ სისხლის სამართლის საქმეზე, ხოლო ფორმა N2-ო - სისხლის სამართლის საქმის განხილვის შედეგებზე. ფორმა N2-ს ასევე აქვს დამატებითი ფორმები - განაჩენით დამთავრებულ საქმეებსა და სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულებზე სტატისტიკური ბარათები. ფორმა N7-ში აისახება მონაცემები პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ საგამოძიებო ხაზით ჩატარებული მუშაობის შესახებ. ამ ფორმის დამატებას წარმოადგენს ფორმა N7-ფ, სადაც აისახება ფარული საგამოძიებო მოქმედებები.

როგორც ინსტრუქციებიდან ირკვევა, სასამართლოები უზრუნველყოფენ სტატისტიკური ბარათების მიხედვით შედგენილი ელექტრონული ფაილების შევსებას, რომლებიც მომდევნო თვის არაუგვიანეს 10 რიცხვისა (მაგისტრი მოსამართლეებისათვის - არაუგვიანეს 5 რიცხვისა) იგზავნება უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სექტორში. სასამართლოების მიერ გაგზავნილი ელექტრონული ფაილების მიხედვით პროგრამულად მიიღება სისხლის სამართლის საქმეებზე ყოველთვიური და კვარტალური სტატისტიკური ანგარიშები.

სასამართლო სისტემის წარმომადგენლებმა ინტერვიუს პროცესში დაადასტურეს, რომ სასამართლო სისტემაში არ არსებობს ერთიანი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალება, რომელიც მაქსიმალურად ავტომატიზებულად წარმართავს სტატისტიკის წარმოების პროცესს. ამ პროცესში ძირითადად Excel-ის პროგრამა გამოიყენება.

სასამართლოს წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს მიხედვით, სტატისტიკის წარმოების პროცესი განსხვავებულია სასამართლო საქმეების სახეების მიხედვით. მაგალითად, სისხლის სამართლის საქმეების შემთხვევაში, უზენაესი სასამართლოს მიერ შემუშავებული ინსტრუქციების შესაბამისად, სასამართლოების თანამშრომლებს სტატისტიკური ბარათიდან მონაცემები მექანიკურად შეყავთ ელექტრონულ Excel-ის ფაილში,

[51] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 23 ივლისის N3-143-20 წერილი.

რომლებიც ყოველთვიურად მიეწოდება უზენაეს სასამართლოს. მიწოდებული ელექტრონული ფაილების გაერთიანების შემდგომ, Excel-ის პროგრამის საშუალებით მიიღება სისხლის სამართლის საქმეების ყოველთვიური და კვარტალური სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები.

სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების შემთხვევაში, უზენაესი სასამართლოს მიერ სტატისტიკური ფორმების შევსების ინსტრუქციები არ არის შემუშავებული. თუმცა, ფორმები ისეა შედგენილი, რომ მონაცემები შეიტანება მასში მითითებული დავის კატეგორიების გათვალისწინებით და ფორმებში ინსტრუქციის სახით დატანილი საკონტროლო ფორმულების დაცვით. სასამართლოებიდან უზენაეს სასამართლოს მიეწოდება მხოლოდ კვარტალური სტატისტიკური ანგარიშგების შევსებული ფორმები, რომლებიც უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სამსახურს გადაყავს Excel-ის პროგრამაში. ეს პროგრამა, შესაბამისი ფორმულებით უზრუნველყოფს ჯამური (დავის კატეგორიების და სასამართლოების მიხედვით) სტატისტიკური ფორმების ავტომატურ მიღებას. სასამართლოების წარმომადგენლების განმარტებით, ამჟამად უზენაესი სასამართლოსთვის კვარტალური ანგარიშების გაგზავნა ხორციელდება ელექტრონული ფოსტის საშუალებით. 2020 წლამდე, მსგავსი დოკუმენტები იგზავნებოდა მატერიალური სახით, საიდანაც მონაცემების შეყვანა Excel-ის ცხრილებში უზენაესი სასამართლოს თანამშრომლების მიერ ხორციელდებოდა სრულად მექანიკურად.

სისხლის სამართლის სტატისტიკის წარმოების პროცესი სასამართლოებში



სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების სტატისტიკის წარმოების პროცესი სასამართლოებში



სასამართლო სტატისტიკის წარმოების არსებული პრაქტიკა სტატისტიკის სიზუსტის თვალსაზრისით მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს. უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლის განმარტებით, ხორციელდება სასამართლოებიდან მიღებული სტატისტიკური ბარათების მიხედვით სისხლის სამართლის საქმეებზე შედგენილი Excel-ის ფაილების შემოწმება. კერძოდ, სტატისტიკის სექტორის ორი თანამშრომელი, მათი შესაძლებლობის ფარგლებში, კითხულობს აღნიშნულ ფაილებს და უწევს ლოგიკურ კონტროლს. ასევე, სტატისტიკის სამსახურის მიერ შექმნილია პარალელური დათვლის ფორმები, რომელთანაც ჯამური მონაცემების შედარებით შესაძლებელია როგორც ლოგიკური, ასევე არითმეტიკული კონტროლის განხორციელება. ასევე, Excel-ის პროგრამაში შემუშავებული დათვლის სისტემა გამორიცხავს არასრულყოფილად შევსებული ფაილების მონაცემების დამუშავებას.

მიუხედავად სტატისტიკის გადამოწმების თვალსაზრისით არსებული გარკვეული მექანიზმებისა, უზენაესი სასამართლოს წარმომადგენელის მოსაზრებით, სტატისტიკის წარმოების არსებული პროცესის გათვალისწინებით, სიზუსტის სრული კონტროლი მნიშვნელოვან სირთულეებთან არის დაკავშირებული. მონიტორინგის პროცესში უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში, მონაცემების გასწორება ხორციელდება შესაბამისი სასამართლოს წარმომადგენელთან კომუნიკაციის საშუალებით.

სასამართლო სისტემის წარმომადგენლების განმარტებით, ბოლო წლებში, სტატისტიკის წარმოების პროცესის გაუმჯობესების თვალსაზრისით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, მაგალითად, თანამშრომელთა ცოდნის ამაღლება Excel-ის პროგრამის სრულყოფილი შესწავლის მიზნით. დამცავი ორდერების გამოცემის თაობაზე სტამბოლის კონვენციის მოთხოვნების შესაბამისი სრულყოფილი სტატისტიკური მონაცემების მისაღებად, სასამართლოებიდან საჭირო ინფორმაციის მიწოდების სერვისის დახვეწისა და პროცესის გაადვილების მიზნით შეიქმნა სპეციალური მცირე პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს სასამართლოებში დამცავი ორდერების თაობაზე შეტანილი მონაცემების უზენაესი სასამართლოს სერვერზე ავტომატურ განთავსებას და სხვა. ასევე, ამ ეტაპზე მიმდინარეობს მნიშვნელოვანი სამუშაოები სასამართლო სტატისტიკის პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით. მათ შორის, იგეგმება საქმის წარმოების ელექტრონული სისტემის განახლება, სადაც ჩაშენებული იქნება სტატისტიკის წარმოების მოდულიც.

სასამართლო სტატისტიკის წარმოების არსებული პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ მისი თანამედროვე სტანდარტებთან დაახლოების პროცესი მნიშვნელოვანი შეფერხებით მიმდინარეობს. ეს გარემოება არსებითად ართულებს სასამართლო სისტემის 2017-2021 წლების სტრატეგიით დასახული მიზნების ხელშესახებ პროგრესს. სასამართლო სტატისტიკის წარმოების პროცესის განვითარების კუთხით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლო სისტემაში სტატისტიკის ერთიანი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალების შემუშავება, რომელიც ერთი მხრივ, მაქსიმალურად ავტომატიზებულს გახდის წარმოების პროცესს, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად განავითარებს სტატისტიკური ანალიტიკის შესაძლებლობებს.

6.2. მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) მიერ დადგენილი სტანდარტი და საქართველოში არსებული მდგომარეობა

2008 წელს მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპულმა კომისიამ (CEPEJ) მიიღო სახელმძღვანელო სასამართლო სტატისტიკის წარმოებასთან დაკავშირებით, რომლის მიზანია წევრ სახელმწიფოებში მართლმსაჯულების შესახებ სტატისტიკის ხარისხის, გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა.[52]

CEPEJ-ის სახელმძღვანელოს თანახმად[53], სასამართლოს ეფექტიანი მუშაობისა და შესაბამისი პოლიტიკის გატარების მიზნით, სასამართლო სტატისტიკამ უნდა უზრუნველყოს პოლიტიკის შემქმნელებისა და სასამართლოთი დაინტერესებული სპეციალისტებისთვის სასამართლოს ფუნქციონირებისა და ხარისხის შესახებ სათანადო ინფორმაციის მიწოდება. რაც მთავარია, უნდა არსებობდეს სასამართლოებში სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების ერთიანი სტანდარტი. ამასთან, აუცილებელია, რომ ეროვნულ დონეზე შეგროვებული მონაცემები საჯაროდ იყოს ხელმისაწვდომი მათი ინტერნეტში გამოქვეყნების გზით.

[52] CEPEJ Guidelines on Judicial Statistics, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hdXOl5, [წვდომის თარიღი: 27.10.2020].

[53] იქვე, თავი პირველი, ძირითადი პრინციპები, პარ. 1-3, გვ. 2.

საქართველოში არ არსებობს სამართლებრივი აქტი, რომელიც საერთო სასამართლოების სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვების ერთიან სტანდარტს განსაზღვრავს. თუმცა, პრაქტიკაში სასამართლოები სტატისტიკურ მონაცემებს ერთიანი სტანდარტული ფორმების საფუძველზე აწარმოებენ.[54] ამასთან, ზოგიერთი სასამართლო სხვებისგან განსხვავებით შესაძლოა დამატებით გარკვეული ტიპის სტატისტიკას აწარმოებდეს.[55]

დავათა კატეგორიასთან მიმართებით სახელმძღვანელო განმარტავს, რომ მნიშვნელოვანია ზოგადი კატეგორიების[56] ჩაშლა სხვადასხვა ქვეკატეგორიებად დავების ან საქმეთა ჯგუფის მიხედვით. თითოეულ საქალაქო სასამართლოს შეუძლია თავად განსაზღვროს ეს ქვეკატეგორიები, თუმცა მნიშვნელოვანია სულ მცირე ოთხი ქვეკატეგორიის გამოყოფა: განქორწინების, სამსახურიდან გათავისუფლების,[57] ძარცვისა და განზრახ მკვლელობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია.

სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სასამართლოებისა და სასამართლო პროცესების თაობაზე მონაცემები სულ მცირე უნდა მოიცავდეს ინფორმაციას პროცესების სახეებისა და რაოდენობის შესახებ, იურისდიქციის მითითებით; ასევე, წლის დასაწყისში პროცესების რაოდენობის, ახალ, დასრულებულ და წლის ბოლოს დარჩენილ საქმეთა რაოდენობის შესახებ ინფორმაციას. ამასთან, მნიშვნელოვანია არსებითი გადაწყვეტილებით დასრულებული საქმეები დიფერენცირებული იყოს სხვაგვარად დასრულებული საქმეებისგან.[58] უნდა აღინიშნოს, რომ ამ ნაწილში საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული მონაცემები შეესაბამება CEPEJ-ის სტანდარტს, რაც დადებითად უნდა შეფასდეს.

საქართველოში უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე ყველა სასამართლოს ჯამური მონაცემები დავათა სახეების მიხედვით უფრო მრავალფეროვანი კატეგორიებით ქვეყნდება, ვიდრე ამას CEPEJ სტანდარტი ითვალისწინებს. შესწავლილი საქალაქო სასამართლოებიდან კი მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლო აქვეყნებს სტატისტიკას დავათა სახის ქვეკატეგორიების მიხედვით. აშკარაა, რომ მონიტორინგის პროცესში შეფასებული დანარჩენი საქალაქო სასამართლოებიც ამუშავებენ დავათა ქვეკატეგორიებს, თუმცა არ აქვეყნებენ, რაც უარყოფითად უნდა შეფასდეს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სხვა სასამართლოების მიერ ვებგვერდზე მწირი სტატისტიკური ინფორმაციის განთავსება ადამიანური და ტექნიკური რესურსების ნაკლებობას უკავშირდება.[59]

CEPEJ-ის სახელმძღვანელოს მიხედვით, სტატისტიკამ უნდა უზრუნველყოს როგორც ქვეყნის, ასევე ცალკეული სასამართლოს დონეზე პროცესების ხანგრძლივობის შეფასება.

[54] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების წარმომადგენლებთან ჯგუფური ინტერვიუ (ფოკუს-ჯგუფი).

[55] მაგალითად, სასამართლო მედიაციის შესახებ ინფორმაციას თბილისის საქალაქო სასამართლო აწარმოებს, ბათუმის საქალაქო სასამართლო კი - არა. ინფორმაცია ეფუძნება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 5 ოქტომბრის N3-0499/3986481 და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 13 ოქტომბრის N659 გ/კ წერილებს.

[56] სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმეები.

[57] მხოლოდ სამოქალაქო საქმეებზე.

[58] იგულისხმება საქმის შეწყვეტა, განსახილველად მიღებაზე უარის თქმა და სხვა საფუძვლები.

[59] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების წარმომადგენლებთან ჯგუფური ინტერვიუ (ფოკუს-ჯგუფი).

შეფასება. მნიშვნელოვანია საქმეთა განხილვის ვადების მიხედვით სტატისტიკის წარმოება. მონაცემები უნდა დაჯგუფდეს საქმის განხილვის ხანგრძლივობის მიხედვით. ასევე, სასურველია, ცალკე გამოიყოს ის საქმეები, რომლებიც არსებითი განხილვის გარეშე დასრულდა.[60]

საქართველოში სასამართლოები ვადებთან დაკავშირებით უთითებენ მხოლოდ იმას, საქმე განხილულ იქნა ვადის დაცვით თუ დარღვევით.[61] სამწუხაროდ, სასამართლოები არ ამუშავებენ ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ არცერთი ტიპის ინფორმაციას, მათ შორის, არც პროცესის სტადიების [62] საშუალო ხანგრძლივობის შესახებ,[63] მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებაში საქმეთა განხილვის საშუალო ხანგრძლივობის მიმართ ინტერესი არსებობს.[64] უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული მონაცემების დამუშავება სრულად შესაძლებელი იქნება სტატისტიკის ელექტრონული მოდულის დანერგვის შემდგომ.

საბოლოო ჯამში, უზენაესი სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდებზე გამოქვეყნებული ინფორმაცია მეტნაკლებად შეესაბამება CEPEJ სტანდარტს. თუმცა, აუცილებელია საერთო სასამართლოებმა ასევე დაამუშაონ საქმეთა ხანგრძლივობისა და საქმისწარმოების საშუალო ვადების შესახებ მონაცემები.

ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოების მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაცია ფრაგმენტულია და ვერ აკმაყოფილებს CEPEJ სტანდარტით დადგენილ კრიტერიუმებს. სასურველია, სასამართლოებმა სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნებისას მიუთითონ დავათა კატეგორიები, ასევე, წლის დასაწყისში და წლის დასასრულს დარჩენილ საქმეთა რაოდენობა.

6.3. უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებულია საერთო სასამართლოების სტატისტიკური მონაცემები განვლილი წლების მიხედვით, 2008 წლიდან დღემდე.[65] გამოქვეყნებული ინფორმაცია მოიცავს საერთო სასამართლოებში განხილული საქმეების, ასევე ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ოჯახში ძალადობის შესახებ სტატისტიკას. ეს ქვეთავი კრიტიკულად აანალიზებს აღნიშნულ მონაცემებს, ასევე განიხილავს ამერიკის შეერთებული შტატებისა და გაერთიანებული სამეფოს გამოცდილებას და მოიცავს რეკომენდაციებს მონაცემთა ცალკეული კატეგორიების დამუშავების თაობაზე.

[60] მაგალითად, დასრულებულ ან დაუსრულებელ საქმეთა ოდენობა ერთ თვეზე ნაკლებ ვადაში, 1-3 თვეში, 4-5 თვეში, 7-12 თვეში, 1-2 წელში, 2-3 წელში, 3-5 წელში და 5 წელზე მეტ პერიოდში.

[61] ინფორმაცია ეფუძნება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 9 ოქტომბრის N1/6027 წერილის დანართს და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 9 ოქტომბრის N987/გ წერილს.

[62] მოსამზადებელი ეტაპის, არსებითი განხილვის ეტაპის, გადაწყვეტილების მიღების პერიოდის, აპელაციისა და სამართლებრივი დაცვის სხვა საშუალებების პერიოდის გათვალისწინებით, საშუალო ხანგრძლივობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები, რაც ასევე CEPEJ-ის დადგენილ სტანდარტს წარმოადგენს.

[63] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების წარმომადგენლებთან ჯგუფური ინტერვიუ (ფოკუს-ჯგუფი).

[64] ამას ცხადყოფს კვლევის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ადვოკატებთან ჩატარებული ინტერვიუები.

[65] საქართველოს უზენაესი სასამართლო, განვლილი წლების სტატისტიკა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gfCH08, [წვდომის თარიღი: 27.10.2020].

ა.ა სამოქალაქო საქმეები

უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული სამოქალაქო საქმეთა განხილვის დინამიკა[66] მოიცავს პირველ, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში საანგარიშო პერიოდში სულ განსახილველ საქმეთა რაოდენობას, მათ შორის, საანგარიშო პერიოდში შესულ საქმეებს მათი ტიპის მიხედვით[67] და დასრულებულ საქმეებს დამდგარი შედეგის მითითებით.[68] სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში ასევე ნაჩვენებია საქმეთა სტაბილურობა.[69]

უზენაესი სასამართლო აქვეყნებს სამოქალაქო საქმეების მოძრაობას დავის სახეების მიხედვით.[70] მონაცემებში მითითებულია საქმის შედეგი, მათ შორის, მორიგებით დასრულებულ საქმეთა რიცხვი.[71] სამწუხაროდ, მხოლოდ ზოგიერთი სასამართლო აღრიცხავს სასამართლო მედიაციისთვის გადაცემულ საქმეთა რაოდენობას, მათ შორის, მედიაციის ფარგლებში მორიგებით დასრულებულ და იმ საქმეთა რაოდენობას, რომელზეც მორიგება ვერ შედგა და დავა სასამართლოში განახლდა.[72] შესაბამისად, უზენაესი სასამართლო მედიაციასთან დაკავშირებულ მონაცემებს არ აქვეყნებს. მედიაციის ინსტიტუტის მუშაობის ეფექტიანობის შესაფასებლად, მნიშვნელოვანია, ყველა სასამართლოში დაიწყოს ამ მონაცემების დამუშავება, მათ შორის, დავათა სახეების მიხედვით. აუცილებელია მონაცემები გამოქვეყნდეს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე. მითუმეტეს, რომ მედიაციის მიმართ ინტერესი არსებობს პრაქტიკოს იურისტებში, თუმცა, მათი გამოცდილებით, ამომწურავი სტატისტიკის მოძიება რთულია.[73]

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანური და ტექნიკური რესურსის სიმწირის გამო, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასა და ცილისწამებასთან დაკავშირებულ დავებში სასამართლო ვერ ამუშავებს მონაცემებს მოპასუხე მხარის მიხედვით.[74]

[66] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული სამოქალაქო საქმეთა სტატისტიკა, მოცემულია საანგარიშო და წინა წლის პერიოდის მონაცემები, საქმეების მატება/კლება და შესაბამისი პროცენტული ცვლილება, გვ. 2-3, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2CJBT65, [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

[67] სასარჩელო წარმოების, გამარტივებული და უდავო წარმოების საქმეები პირველი ინსტანციის სასამართლოსთვის.

[68] მაგალითად, უარი ეთქვა მიღებაზე, გამოვიდა გადაწყვეტილება, შეწყდა და ა.შ.

[69] სტაბილურობის მაჩვენებლით აისახება განხილული საჩივრებიდან გაუქმებულ საჩივართა და სტაბილურად დარჩენილ საჩივართა რაოდენობა.

[70] ასახულია სასარჩელო წარმოების სანივთო, ვალდებულებითი, ინტელექტუალური სამართლებრივი დავების, საოჯახო სამართლებრივი, სამემკვიდრეო, სამეწარმეო, შრომით დავების, პირად არაქონებრივი უფლებებთან დაკავშირებული დავებისა და სხვა სასარჩელო საქმეები. ამასთან, თითოეული მათგანი ჩაშლილია დავის სახის შესაბამის ქვეკატეგორიებად; ასახულია გამარტივებული წარმოებისა და უდავო წარმოების საქმეები იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის შესახებ, მოქალაქის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარებისა და მოქალაქის გარდაცვლილად გამოცხადების თაობაზე, მხარდამჭერ პირად ცნობის თაობაზე და ა.შ.

[71] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 1873-ე მუხლი განსაზღვრავს იმ საქმეთა ჩამონათვალს, რომლებიც შესაძლოა სასამართლო მედიაციას დაექვემდებაროს.

[72] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების წარმომადგენლებთან ჯგუფური ინტერვიუს (ფოკუს-ჯგუფის) შედეგად მიღებული ინფორმაცია.

[73] ამას მოწმობს კვლევის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ადვოკატებთან ჩატარებული ინტერვიუები.

[74] მაგალითად, მედია, არასამთავრობო ორგანიზაცია, ფიზიკური პირი და ა.შ; ინფორმაცია ეფუძნება იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების წარმომადგენლებთან ჯგუფურ ინტერვიუს (ფოკუს-ჯგუფის).

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, სასამართლო ასევე განიხილავს დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებს.[75] ქვეყანაში ამ კუთხით არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე სხვა სახის დავებთან ერთად, ასევე მიეთითოს სტატისტიკური მონაცემები დისკრიმინაციის შესახებ.[76] კერძოდ, საანგარიშო პერიოდში შესულ სარჩელთა რაოდენობა და საქმეთა განხილვის შედეგები. შესაძლებელია სტატისტიკაში მიეთითოს დისკრიმინაციის ნიშნები,[77] ასევე, სექსუალური შევიწროების შესახებ საქმეთა რაოდენობა.

ამგვარი სტატისტიკური მონაცემების დამუშავების საჭიროებაზე მიუთითებს სახალხო დამცველის ანგარიშიც, რომლის მიხედვით, დისკრიმინაციის მდგომარეობის სათანადოდ შეფასება ვერ ხერხდება თანასწორობასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების შესაბამის ორგანოებში, მათ შორის, სასამართლოებში, არარსებობის გამო.[78] თუმცა, ფოკუს ჯგუფთან ჩატარებულმა ინტერვიუმ გამოავლინა, რომ სასამართლოებმა საცდელ რეჟიმში ევროსაბჭოს პროექტის ფარგლებში ამ ინფორმაციის დამუშავება უკვე დაიწყეს.[79]

რუსთავის საქალაქო სასამართლომ წერილობით განმარტა, რომ დისკრიმინაციის საქმეებზე ინფორმაციას არ ამუშავებს, ხოლო ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ 2018-2019 წლებში დისკრიმინაციის საქმეებზე სტატისტიკას არ ამუშავებდა, თუმცა, ბუნდოვანია დაიწყო თუ არა მან 2020 წლიდან სტატისტიკის წარმოება.[80] საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლის განმარტებით, სასამართლოებში აღნიშნული მონაცემები მართლაც არ მუშავდებოდა. უზენაესი სასამართლო სასამართლოებიდან სისტემატურად გამოითხოვდა გადაწყვეტილებებს, რომლებიც გამოტანილი იყო დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეებზე, სწავლობდა და აანალიზებდა მათ. ამჟამად უკვე შემუშავებული და სასამართლოებში საცდელ რეჟიმში დანერგილია ფორმები დისკრიმინაციის საქმეებთან დაკავშირებით. შესაბამისად, მიზანშეწონილია, შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემების გამოქვეყნება.

უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე სამოქალაქო საქმეების მოძრაობა პირველი ინსტანციის სასამართლოებში აგრეთვე მოცემულია სასამართლოების გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით.[81] გარდა ამისა, წარმოდგენილია რაიონული და საქალაქო სასამართლოების

[75] საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 363[1]-ე მუხლი.

[76] საქართველოს უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, აღნიშნული ინფორმაციის დამუშავება დაწყებულია საცდელ რეჟიმში.

[77] რელიგიის, სქესის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის თუ სხვა ნიშნებით დისკრიმინაციის შემთხვევათა რაოდენობა.

[78] საქართველოს სახალხო დამცველის სპეციალური ანგარიში დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი თავიდან აცილებისა და თანასწორობის მდგომარეობის შესახებ, 2019 წ., გვ. 5, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Q92Va7, [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

[79] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების წარმომადგენლებთან ჯგუფური ინტერვიუ (ფოკუს-ჯგუფი).

[80] ინფორმაცია ეფუძნება რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 9 ოქტომბრის N988/გ და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 13 ოქტომბრის N 659 გ/კ წერილებს.

[81] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული სამოქალაქო საქმეთა სტატისტიკა, გვ. 11-13, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2EarUY7, [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

მიხედვით სააპელაციო და კერძო საჩივრების შედეგად გადაწყვეტილებათა გადასინჯვის შედეგებიც.[82] ნაჩვენებია სააპელაციო სასამართლოების[75] შესახებ სხვადასხვა ტიპის სტატისტიკური მონაცემები.[83]

სამწუხაროდ, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე არ ქვეყნდება მონაცემები სააპელაციო და საკასაციო საჩივრებით შესული საქმეების შესახებ სამოქალაქო დავათა კატეგორიების მიხედვით, როგორც ეს ხდება პირველი ინსტანციის სასამართლოებთან მიმართებით. სასურველია, სააპელაციო სასამართლოების შესახებ მონაცემები დავის კატეგორიის ნიშნითაც გამოქვეყნდეს, რაც საკითხით დაინტერესებულ პირებს სხვადასხვა ტენდენციების გამოვლენაში დაეხმარება. მაგალითად, რა ტიპის საქმეები საჩივრდება ყველაზე ხშირად ან როგორია სააპელაციო და საკასაციო სასამართლოების მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებათა გაუქმების მაჩვენებელი დავის თითოეულ კატეგორიასთან მიმართებით. უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლის განმარტებით, ამ ეტაპზე აღნიშნული მონაცემები არ მუშავდება, თუმცა ეს საკითხი გათვალისწინებული იქნება სტატისტიკური მოდულის შემუშავების დროს.

3.ბ ადმინისტრაციული საქმეები

სამოქალაქო საქმეთა მსგავსად, გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები მოიცავს ადმინისტრაციულ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეთა განხილვის დინამიკას, საქმეთა მოძრაობას დავის სახეების მიხედვით და რაიონული/საქალაქო სასამართლოების მიხედვით საქმეთა განაწილების შესახებ ინფორმაციას.

ადმინისტრაციულ საქმეებზე პირველი ინსტანციის შესახებ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ მონაცემებში მორიგებით დასრულებულ საქმეთა რიცხვი შეწყვეტილ საქმეებთან ერთად აღირიცხება. სასურველია, ცხრილში მორიგებით დასრულებული საქმეები ცალკე გამოიყოს, როგორც ეს სამოქალაქო საქმეების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებში გვხვდება.

გამოქვეყნებულ მონაცემებში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებთან დაკავშირებით მითითებულია ასევე პირთა რიცხვი, რომელთა მიმართ გამოტანილია დადგენილება (განჩინება) და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობა დაკისრებულ პირთა რაოდენობა, ასევე პირთა რაოდენობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სახეების მიხედვით, განხილული ადმინისტრაციული სამართალდარღვევები რაიონული/საქალაქო სასამართლოების მიხედვით და დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელები. სასურველია, ასევე დამუშავდეს და გამოქვეყნდეს მონაცემები სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, მათ შორის, არასრულწლოვანთა რაოდენობის შესახებ, რომელთაც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრათ.

უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლის განმარტებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფორმებში აღირიცხება ქალებისა და არასრულწლოვნების

82 იქვე, გვ. 15-17;

83 სააპელაციო საჩივრების მოძრაობა სააპელაციო სასამართლოებში, სააპელაციო საჩივრის განხილვის შედეგები, სამოქალაქო საქმეების საკასაციო წესით გასაჩივრების დინამიკა და მათი დასაშვებობის შესახებ მონაცემები, ასევე საკასაციო საჩივრების განხილვის შედეგები.

რაოდენობა, რომელთა მიმართაც გამოტანილია დადგენილება, შესაბამისად, შესაძლებელია ჯამური მონაცემების გამოქვეყნება. თუმცა, უფრო დეტალური ინფორმაციის დამუშავება ამ ეტაპზე შეუძლებელია.

უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმოებულ ადმინისტრაციულ საქმეებზე საკმაოდ დეტალური სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება არის შესაძლებელი. თუმცა, გამოქვეყნებული მონაცემები არ მოიცავს სააპელაციო სასამართლოში წარმოებულ საქმეებზე დავათა კატეგორიებს. უმჯობესია, რომ ამ ტიპის ინფორმაცია ასახული იყოს უზენაესი სასამართლოს მიერ ვებგვერდზე განთავსებულ სტატისტიკურ მონაცემებში. ამასთან, სასურველია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიეთითოს გადაწყვეტილებათა გადასინჯვის შედეგები და მათი მოძრაობა.

3.3 სისხლის სამართლის საქმეები

სისხლის სამართლის საქმეების სტატისტიკაც იმავე პრინციპით არის დამუშავებული, როგორც სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები. სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით ასევე მოცემულია მონაცემები ნასამართლობის შესახებ, მსჯავრდებულთა რაოდენობა საანგარიშო პერიოდში, მათ შორის, კატეგორიები ჩაშლილია სასჯელის სახეების მიხედვით.[84] სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის მონაცემები მოიცავს განხილულ საჩივართა შესახებ ინფორმაციას შედეგის მითითებით.

გამოქვეყნებული სისხლის სამართლის საქმეთა კატეგორიები არ მოიცავს დანაშაულთა ცალკეულ სახეებს, მაგალითად: დანაშაულს ოჯახისა და არასრულწლოვნის წინააღმდეგ, არასრულწლოვნის ჩაბმას პორნოგრაფიულ საქმიანობაში, ცხოველთა წამებას ან მისდამი სასტიკ მოპყრობას, ქალის სასქესო ორგანოების დასახიჩრებას და სხვა. აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ ქვეყნდება მხოლოდ ძველი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებში ასახული ინფორმაცია. ამავე დროს, სისხლის სამართლის კოდექსში შესულ ახალ მუხლებზე მონაცემები ცალკე მუშავდება, თუმცა ისინი უზენაესის სასამართლო ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მონაცემთა შორის არ მოიპოვება. სასურველია, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნდეს დანაშაულთა ყველა კატეგორია, რომელსაც სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლოები ამუშავებენ.

მიუხედავად არსებული პრობლემებისა, სახალხო დამცველმა სპეციალურ ანგარიშში აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლოს სტატისტიკის სექტორის ძალისხმევის შედეგად გაუმჯობესდა ფემიციდისა და ფემიციდის მცდელობის დანაშაულების აღრიცხვა, თუმცა ასევე ხაზი გაუსვა პირველი ინსტანციის სასამართლოებში საქმეთა აღრიცხვის სტატისტიკურ ბარათებში გარკვეული ცვლილებების შეტანის აუცილებლობას.[85] უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ქალთა მიმართ ჩადენილი დანაშაულების აღრიცხვის კუთხით ცვლილებები უკვე განხორციელებულია და 2021 წლიდან შესაძლებელი იქნება საცდელ რეჟიმში სრულყოფილი მონაცემების მიღება.

[84] საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდი, 2019 წლის სტატისტიკური მონაცემები სისხლის სამართლის საქმეთა შესახებ, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2E1BEnP, [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

[85] საქართველოს სახალხო დამცველი, ფემიციდის მონიტორინგის ანგარიში: 2014-2018 წელი, 2020 წელი, გვ. 21, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3l10Aw2, [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე მოცემულია მსჯავრდებულთა შესახებ სხვადასხვა სახის სტატისტიკური ინფორმაცია. სისხლის სამართლის სტატისტიკა დამატებით მოიცავს მონაცემებს თავისუფლების აღკვეთის ვადებისა და საპროცესო შეთანხმებების შესახებ. სამწუხაროდ, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე არ ქვეყნდება საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შუამდგომლობების[86] განხილვის შესახებ ჩაშლილი სტატისტიკური მონაცემები.

სამწუხაროდ, არც სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით არ ქვეყნდება ინფორმაცია სააპელაციო სასამართლოში პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილებათა გადასინჯვის შედეგების შესახებ, დანაშაულის სახეების მიხედვით. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების მდგომარეობის შესაფასებლად, სასურველია, სააპელაციო და საკასაციო სასამართლოში დამდგარი შედეგების თაობაზე სტატისტიკური ინფორმაცია განთავსებული იყოს დანაშაულის კატეგორიების მიხედვით. სააპელაციო საჩივრებთან დაკავშირებით ქვეყნდება მხოლოდ განხილვის შედეგები,[87] ხოლო საკასაციო საჩივრებთან მიმართებით - დასაშვებობის შემოწმებისა და საქმეთა განხილვის შედეგები.

ამდენად, სისხლის სამართლის საქმეების შესახებ სტატისტიკური მონაცემები საკმაოდ მრავალფეროვანი კატეგორიებით გამოირჩევა, თუმცა გარკვეული ხარვეზები მაინც არსებობს, კერძოდ, დანაშაულის სახეების შესახებ გამოქვეყნებული მონაცემები საჭიროებს ახალ კატეგორიათა დამატებას. ასევე, სასურველია, სააპელაციო სასამართლოებში განხილული საქმეების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს დანაშაულის სახეების მიხედვით.

ე.დ შეჯამება

უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები საკმაოდ ვრცელი და დეტალურია, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. არასამთავრობო ორგანიზაციები, მკვლევარები და ადვოკატები სტატისტიკურ ინფორმაციას ხშირად იყენებენ კვლევებისა თუ საქმეთა ანალიზისთვის. სასამართლო სტატისტიკის ვებგვერდზე გამოქვეყნება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლოებიდან სტატისტიკური მონაცემების წერილობით მოთხოვნისას, დაინტერესებულ პირებს ხშირად არასრულყოფილი, ბუნდოვანი ინფორმაცია მიეწოდება, ზოგჯერ კი სასამართლოები პასუხის გაცემისგან თავს იკავებენ.[88]

სასამართლო სისტემის ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის შესაფასებლად, მნიშვნელოვანია, დამუშავდეს და გამოქვეყნდეს დასრულებულ საქმეთა განხილვის ვადების შესახებ სტატისტიკური მონაცემები. ინფორმაცია შესაძლოა დამუშავდეს როგორც დავის/დანაშაულის სახეების, ასევე თითოეული სასამართლოს მიხედვით. შედეგად, შესაძლებელი იქნება იმ დანაშაულის/დავის სახეთა გამოვლენა, რომელთა განხილვისას ხშირია საპროცესო ვადის დარღვევა, ასევე იმ სასამართლოების გამოვლენა, რომლებიც გადატვირთულობის თუ სხვა სახის პრობლემის წინაშე დგანან.

[86] ჩხრეკა, ამოღება, საცხოვრებელი ბინის ან მფლობელობის დათვალიერების შესახებ შუამდგომლობები, ასევე კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ შუამდგომლობები.

[87] მაგალითად: დატოვებულია განუხილველად, დატოვებულია უცვლელად, გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი და სხვა.

[88] ინფორმაცია ეფუძნება კვლევის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ადვოკატებთან ჩატარებულ ინტერვიუებს.

ამასთან, სტატისტიკის წაკითხვის გაიოლების მიზნით და ბუნდოვანების გამოსარიცხად, შესაძლებელია შეიქმნას დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც განმარტავს გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ინფორმაციას, გამოყენებულ ტერმინებსა და პროცედურებს. არის შემთხვევები, როდესაც ნორმატიულ აქტსა და სტატისტიკაში გამოყენებულია სხვადასხვა ტერმინი ან აქტში სხვა კატეგორიებია მოცემული, ხოლო სტატისტიკაში - სხვა,[89] ასევე არსებობს განსხვავებები რიცხვებში და ბუნდოვანია ამ განსხვავებათა მიზეზები.[90]

ამ მხრივ აღსანიშნავია სხვა ქვეყნების გამოცდილება. მაგალითად, აშშ-ში სასამართლო სისტემის ვებგვერდზე განთავსებულია ტერმინთა განმარტებები, ახსნილია როგორ გამოითვლება საშუალო დრო სამოქალაქო თუ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით[91], ასევე განმარტებულია პირველი ინსტანციის სასამართლოების სტატისტიკურ მონაცემებში გამოყენებული ტერმინები.[92]

ასევე, საინტერესოა დიდი ბრიტანეთის პრაქტიკა, სადაც მთავრობის ოფიციალურ ვებგვერდზე დაინტერესებულ პირთათვის სტატისტიკის წაკითხვის გამარტივების მიზნით, განთავსებულია იუსტიციის სამინისტროს მიერ შემუშავებული სტატისტიკების სახელმძღვანელო ინსტრუქციები სამოქალაქო სამართლის,[93] საოჯახო სამართლის,[94] სისხლის სამართლის[95] და სხვა კატეგორიების მიხედვით. მიზანშეწონილია, რომ საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაშიც არსებობდეს მსგავსი სახელმძღვანელო.

ასევე, მნიშვნელოვანია, დაიხვეწოს დავების/დანაშაულის სახეებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ, გამოქვეყნებულ კატეგორიებს დაემატოს ახალი კატეგორიები. სტატისტიკის მოქმედი ანგარიშგების ფორმებით დამუშავება პრობლემურია დაინტერესებულ პირთათვის, რომელთაც სრული ინფორმაციის მიღება სჭირდებათ.[96]

მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებში ყოველწლიურად შეძლებისდაგვარად შედის ცვლილებები და ხორციელდება მათი განახლება, ანგარიშგების ფორმებით სტატისტიკის წარმოება, სადაც სასამართლოს თანამშრომელს ინფორმაცია მექანიკურად, ხელით შეყავს, ამ პრობლემის სრულად გადაჭრას შეუძლებელს ხდის, ვინაიდან ყველა ახალ კატეგორიას

[89] მაგალითად, ჯგუფური ინტერვიუს დროს გამოვლინდა, რომ ადმინისტრაციულ საქმეებზე პირველ ინსტანციაში მორიგებით დასრულებულ საქმეთა რაოდენობა შეწყვეტილი საქმეების გრაფაში აღირიცხება მაშინ, როდესაც სამოქალაქო საქმეებზე მორიგებით დასრულებულ საქმეებთან დაკავშირებით ცალკე გრაფა არსებობს. სასურველია, ამგვარი დეტალები დამხმარე სახელმძღვანელოში ახსნილი და განმარტებული იყოს.

[90] ინფორმაცია ეფუძნება კვლევის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ადვოკატებთან ჩატარებულ ინტერვიუებს.

[91] აშშ-ს სასამართლო სისტემის ვებგვერდზე განთავსებული მნიშვნელოვან ტერმინთა განმარტებანი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3kZXNmU, [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

[92] აშშ-ს სასამართლო სისტემის ვებგვერდზე განთავსებული პირველი ინსტანციის სასამართლოების სტატისტიკაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებანი ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2EcMtTM, [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

[93] Guide to Civil Justice Statistics, Ministry of Justice, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ePnqCw [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

[94] Guide to Family Court Statistics, Ministry of Justice, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3eK8IwR [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

[95] Guide to criminal court statistics Ministry of Justice, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hmyvwO [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

[96] ინფორმაცია ეფუძნება კვლევის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ადვოკატებთან ინტერვიუების შედეგებს.

„ფორმა ფიზიკურად ვერ იტევს“.[97] ეს გამოწვევა არსებობს ადმინისტრაციულ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, რის გამოსასწორებლად აუცილებელია საერთო სასამართლოების სტატისტიკის წარმოების ელექტრონული მოდულის დანერგვა.

ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად უნდა გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები და დაინერგოს ისეთი სისტემა, რომელიც მოქნილი იქნება კანონმდებლობის ცვლილებების მიხედვით სტატისტიკის წარმოების გასაუმჯობესებლად.

ბ. ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული სტატისტიკა

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, უზენაესი სასამართლო ვალდებულია შეადგინოს ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრი, სადაც აისახება ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაცია.[98] ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული რეესტრი ხელმისაწვდომია უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე.[98] რეესტრში აღრიცხულია ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ მონაცემები რაიონული/საქალაქო სასამართლოების მიხედვით, საანგარიშო პერიოდში შესული შუამდგომლობების რაოდენობისა და დამდგარი შედეგის მითითებით.[100]

უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე ქვეყნდება სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩანაწერების მონაცემების არქივი, სადაც სტატისტიკური მონაცემები დაჯგუფებულია წლების მიხედვით და კვარტალურად. უზენაესმა სასამართლომ ამ მონაცემების გამოქვეყნების ვალდებულება ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში აიღო, რაც OGP-ის 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმაში აისახა.[101] ამდენად, მონაცემები აღრიცხულია 2015 წლიდან და მოიცავს მთელი ქვეყნის მასშტაბით, ასევე რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიხედვით განხილული შუამდგომლობების რაოდენობას დამდგარი შედეგისა და დანაშაულის კვალიფიკაციის მითითებით.[102] ასევე, აღრიცხულია სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის ვადის გაგრძელების თაობაზე სტატისტიკური მონაცემები.[103]

97 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების წარმომადგენლებთან ჯგუფური ინტერვიუს (ფოკუს-ჯგუფი) შედეგად მიღებული ინფორმაცია.

98 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 14210-ე მუხლის თანახმად, ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ფარული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებით სასამართლოებში შესული შუამდგომლობებისა და მიღებული განჩინებების შესახებ ინფორმაციას, აგრეთვე მოპოვებული მასალის განადგურების თაობაზე ინფორმაციას.

99 მაგალითისთვის იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული 2019 წლის სტატისტიკური მონაცემები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hcQfLe, [წვდომის თარიღი: 27.10.2020].

100 დამდგარი შედეგი მოიცავს შემდეგ კატეგორიებს: განუხილველად დარჩა, განხილული, დაკმაყოფილებული, ნაწილობრივ დაკმაყოფილებული, დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა, მასალა განადგურდა.

101 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 სექტემბრის N557 დადგენილება „ღია მმართველობის პარტნიორობის საქართველოს 2014-2015 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, მე-17 ვალდებულება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2QbuKOZ, [წვდომის თარიღი: 27.10.2020].

102 საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2019 წლის საერთო სასამართლოების ძირითადი სტატისტიკური მონაცემები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2E2MpWW, [წვდომის თარიღი: 27.10.2020].

103 საქართველოს უზენაესი სასამართლო, სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის მონაცემების არქივი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2FHbrv5, [წვდომის თარიღი: 27.10.2020].

მიუხედავად იმისა, რომ საერთო სასამართლოები დანაშაულის კვალიფიკაციისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით სტატისტიკურ მონაცემებს ყველა ტიპის ფარულ საგამოძიებო მოქმედებასთან დაკავშირებით ამუშავებენ[104], ამგვარი დეტალური ინფორმაციის მითითებით უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე მხოლოდ სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის შესახებ მონაცემები ქვეყნდება. ამ უკანასკნელის გარდა, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე ქვეყნდება ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა მხოლოდ საერთო, ჯამური მონაცემები.[105]

უზენაესი სასამართლოს მიერ ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნება დადებითად უნდა შეფასდეს. თუმცა, საზოგადოებისთვის ასევე მნიშვნელოვანია დეტალური მონაცემები ფარული საგამოძიებო მოქმედებების თითოეულ სახესთან მიმართებით. ამდენად, სასურველია, მათი გამოქვეყნებაც.

2019 წლის მონაცემების მიხედვით[106], სატელეფონო მიყურადების შესახებ განხილული შუამდგომლობები ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული შუამდგომლობების საერთო რაოდენობის მხოლოდ 15 პროცენტს შეადგენდა. გამოქვეყნებული მონაცემების საფუძველზე ვერ ფასდება, ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა შესახებ ძირითადად რა ტიპის შუამდგომლობებით მიმართავენ სასამართლოს ან კონკრეტულ დანაშაულებთან მიმართებით რომელი ფარული საგამოძიებო მოქმედებები ტარდება ყველაზე ხშირად. მონაცემების გამოქვეყნების საჭიროება განპირობებულია იმითაც, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაძლებელია ზოგიერთმა სასამართლომ პასუხისგან თავი შეიკავოს ან დაინტერესებულ მხარეს ჩაშლილი მონაცემები არ მიეწოდოს.[107]

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, პროკურორი ვალდებულია ფარული საგამოძიებო მოქმედების დაწყების დროიდან არაუგვიანეს 24 საათისა მიმართოს რაიონულ (საქალაქო) სასამართლოს ჩატარებული/მიმდინარე ფარული საგამოძიებო მოქმედების კანონიერად ცნობის მიზნით.[108] უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებულ სტატისტიკურ მონაცემებში ფარული საგამოძიებო მოქმედების დაკანონების თაობაზე ინფორმაცია ასახული არ არის. მიზანშეწონილია, დაკანონების შესახებ სტატისტიკის ვებგვერდზე განთავსება.

[104] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 23 ივლისის N პ-1143-20 წერილი.

[105] როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2020 წლის 23 ივლისის N პ-1143-20 წერილით მოწოდებული ფორმა N7-ის დამატებიდან ირკვევა, პირველი ინსტანციის სასამართლოები ყველა ტიპის ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ ამუშავებენ ინფორმაციას.

[106] საქართველოს უზენაესი სასამართლო, 2019 წლის ფარული საგამოძიებო მოქმედებების რეესტრი და მონაცემები სატელეფონო საუბრის ფარულ მიყურადებაზე ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3iS8MwI, [წვდომის თარიღი: 27.10.2020].

[107] მაგალითად, რუსთავის საქალაქო სასამართლომ 2020 წლის 9 ოქტომბრის N988/გ წერილით IDFI-ის მიაწოდა ზოგადი ინფორმაცია ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ, სადაც არ იყო მითითებული ფარულ საგამოძიებო მოქმედებათა სახეები, მიუხედავად იმისა, რომ IDFI ინფორმაციას თითოეულ სახესთან მიმართებით ითხოვდა.

[108] საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143^3-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში სატელეფონო საუბრის ფარული მიყურადების გარდა, სხვა სახის ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ ინფორმაციაც ქვეყნდება.[109] ფარული მიყურადების თაობაზე მონაცემები საკმაოდ მრავალფეროვანია. თითოეულ საქმეზე მოცემულია ინფორმაცია იურისდიქციის, მოსამართლისა და შტატის პროკურორის ან მის მიერ დანიშნული პირის ვინაობის, დანაშაულის ტიპის, დღეში მოსმენის საშუალო ხანგრძლივობისა და მოსმენების მიმდინარეობის დღეების რაოდენობის, პირთა რაოდენობის,[110] გაწეული ხარჯისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დაკავებულ პირთა რაოდენობის მიხედვით. სტატისტიკური ინფორმაცია ასახავს დაკავებულთა და მსჯავრდებულთა რაოდენობას, მონაცემებს იმ დანაშაულთა სახეების შესახებ, რომელზეც აშშ-ს სასამართლოები ძირითადად ფარული მიყურადების შესახებ შუამდგომლობებს განიხილავენ.[111]

3. ოჯახში ძალადობის სტატისტიკა

საქართველოს კანონმდებლობით ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციის ერთ-ერთი მექანიზმი შესაბამისი სტატისტიკის წარმოებაა. პრევენციის ღონისძიებების განხორციელება თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში სასამართლო ორგანოებსაც ევალებათ.[113] სტატისტიკის წარმოების მნიშვნელობას ასევე ხაზს უსვამს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია.[114] კონვენციის თანახმად, მხარეები ვალდებულებას იღებენ, რომ რეგულარულად შეაგროვებენ შესაბამის დეტალურ სტატისტიკურ მონაცემებს კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალ ყველა ფორმის ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით.[115] ასეთი სტატისტიკა აუცილებელია მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის წარმოებისთვის და იმის შესაფასებლად, თუ რამდენად პასუხობს არსებული პოლიტიკა მსხვერპლის საჭიროებებს. გარდა ამისა, სტატისტიკა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ საზოგადოებაში ცნობიერების ასამაღლებლად, არამედ აგრეთვე მსხვერპლისა თუ მოწმეების მიმართვიანობის გასაზრდელად.[116] საჯარო ხელისუფლების ორგანოებმა, მათ შორის, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს ისეთი მონაცემთა ბაზების სისტემების შექმნა, რომლებიც

[109] ცალკე არის აღრიცხული სატელეფონო მიყურადება, ინფორმაციის მოხსნა და ფიქსაცია კავშირგაბმულობის არხიდან, კომპიუტერული სისტემიდან და ფარული ვიდეო ან/და აუდიო ჩაწერა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/34jU6lQ, [წვდომის თარიღი: 27.10.2020].

[110] იმ პირთა რაოდენობა, ვის მიმართაც ბრძანების გამოცემის შედეგად, ფარული მიყურადება განხორციელდა.

[111] აშშ-ში ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია ხელმისაწვდომია ბმულზე: https://bit.ly/32cEe2l, [წვდომის თარიღი: 27.10.2020].

[112] „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი.

[113] იქვე, მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტი.

[114] კონვენცია საქართველოს მიმართ ძალაში 2017 წელს შევიდა.

[115] ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტი.

[116] Council of Europe, Explanatory Report to the Council of Europe Convention on preventing and combating violence against women and domestic violence, გვ. 14, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2QajAu8, [წვდომის თარიღი: 27.10.2020].

მსხვერპლის სქესს, ასაკს, ძალადობის სახეებს, მოძალადისა და მსხვერპლის ურთიერთობას[117], გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას და სხვა ფაქტორებს, როგორიც არის, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობა.[118] აღნიშნული მონაცემების დამუშავების საჭიროებაზე საუბარია აგრეთვე ევროპის საბჭოს კვლევაში „წევრ სახელმწიფოებში ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვება ოჯახში ძალადობის შესახებ".[119]

უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე ცალკე არის გამოყოფილი ოჯახში ძალადობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები. სტატისტიკის ქვეშ დაჯგუფებულია მონაცემები გამოცემული დამცავი ორდერებისა და სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენების მიხედვით. სტატისტიკური მონაცემები გამოქვეყნებულია 2018 წლიდან თითოეული წლის მიხედვით და კვარტალურად.[120]

დამცავ ორდერებთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებში ასახულია საქართველოს მასშტაბით გამოცემული დამცავი ორდერების რაოდენობა, აგრეთვე მოძალადისა და მსხვერპლის სქესი. მონაცემები ასევე დაჯგუფებულია რეგიონების მიხედვით. ამასთან, შენიშვნის სახით მითითებულია, რა რაოდენობის ორდერი გამოიცა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით.[121] გამოცემული ორდერების შესახებ სტატისტიკური მონაცემები ასევე დაყოფილია ძალადობის სახეების[122] მიხედვით.[123]

მართალია, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე მოცემულია ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებასთან დაკავშირებით შესულ საქმეთა რაოდენობა, თუმცა, სტატისტიკური ინფორმაციიდან არ ჩანს, რამდენმა პირმა მიმართა სასამართლოს უშუალოდ დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით. ასევე, არ არის მითითებული, პირველი ინსტანციის მიერ გამოცემული რამდენი დამცავი ორდერი გასაჩივრდა სააპელაციო წესით, მათ შორის, რამდენი დამცავი ორდერი გაუქმდა.

117 მაგალითად: შეყვარებული, პარტნიორი, მეუღლე, ყოფილი შეყვარებული, ყოფილი მეუღლე, ყოფილი პარტნიორი, სხვა ოჯახის წევრი და სხვ.

118 ევროპის საბჭო, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ, სახელმძღვანელო პარლამენტარებისთვის, გვ. 32, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2Jemldy, [წვდომის თარიღი: 27.10.2020].

119 ევროპის საბჭო, „წევრ სახელმწიფოებში ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვება ოჯახში ძალადობის შესახებ", EG-VEW-DC (2008) კვლევა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3hfcWP4, [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

120 საქართველოს უზენაესი სასამართლო, ოჯახში ძალადობის სტატისტიკა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3aDVtgL, [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

121 მაგალითად, 2018 წელს გამოცემული 141 ორდერიდან 139 ორდერი გამოიცა ოჯახში ძალადობაზე.

122 ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური, იძულება, უგულებელყოფა.

123 საქართველოს უზენაესი სასამართლო, საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ 2019 წელს გამოცემული დამცავი ორდერების რაოდენობა, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3g8AHH6, [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

ამასთან, როდესაც სასამართლო განიხილავს დამცავი ორდერის გამოცემის საკითხს, არასრულწლოვანზე ძალადობის შემთხვევაში, დამცავი ორდერით წყვეტს არასრულწლოვნის მოძალადე მშობლისგან (მშობლებისგან) განცალკევების საკითხს.[124] საინტერესო იქნება, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებულ სტატისტიკურ მონაცემებში ასევე აისახოს ინფორმაცია, თუ რამდენი არასრულწლოვანი განაცალკევა სასამართლომ დამცავი ორდერით. სამწუხაროდ, დღეს სასამართლოში ამ სახის ინფორმაცია არ მუშავდება. სასამართლოებში ასევე არ მუშავდება ინფორმაცია დამცავი და შემაკავებელი ორდერების საქმეებზე მოძალადისა და მსხვერპლის ასაკისა და მოძალადისა და მსხვერპლის ურთიერთობის შესახებ.[125] უზენაესი სასამართლოს წარმომადგენლის განმარტებით, 2020 წელს შემუშავდა, ხოლო 2021 წლიდან სასამართლოში დაინერგება პროგრამა, სადაც სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებული ყველა მონაცემი აისახება.

ოჯახში ძალადობისა და გენდერული ნიშნით ქალის მიმართ მომხდარ დანაშაულთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემების ნაკლებობასა და არასრულყოფილად ასახვა/დამუშავების პრობლემის შესახებ არაერთხელ აღინიშნა სამოქალაქო სექტორში.[126] 2018 წლამდე არ ხდებოდა შემაკავებელ და დამცავ ორდერთა გასაჩივრების შესახებ მონაცემების შეგროვება ძალადობის ფორმების მიხედვით. 2018 წლის 13 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოში ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ და საქართველოს უზენაეს სასამართლოს შორის გაფორმდა მორიგების აქტი, რომლის მიხედვითაც მხარეები შეთანხმდნენ, რომ უზენაესი სასამართლო დაამუშავებდა ორდერების გასაჩივრებისა და გაუქმების შესახებ ინფორმაციას.[127] სააპელაციო სასამართლოებისთვის საცდელ რეჟიმში მუშაობს პროგრამა, სადაც მუშავდება შესული და გაუქმებული დამცავი ორდერების რაოდენობა, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. სრულყოფილი სურათის შესაქმნელად, მიზანშეწონილია, აღნიშნული სტატისტიკა განთავსდეს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ მონაცემებში.[128]

რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეებს, სტატისტიკა მოიცავს როგორც სრულ მონაცემებს (ჯამში ყველა ოჯახური დანაშაული ერთად), ასევე ინფორმაციას დანაშაულის კვალიფიკაციის მიხედვით. აგრეთვე, ასახულია პირთა რაოდენობა და ცალკე არის გამოყოფილი მსხვერპლი ქალების რაოდენობა.[129]

[124] საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2113-ე მუხლის 52-ე პუნქტი და 2115-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

[125] ინფორმაცია ეფუძნება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 5 ოქტომბრის N3-0499/3986481, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 9 ოქტომბრის N988/გ და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 13 ოქტომბრის N 659 გ/კ წერილებს.

[126] PHR, გენდერული სტატისტიკის შეგროვება, დამუშავება და გავრცელება გენდერული ძალადობის პრევენციისა და დაძლევისათვის საქართველოში, 2019 წ.

[127] იქვე, გვ. 66.

[128] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების წარმომადგენლებთან ჯგუფური ინტერვიუ (ფოკუს-ჯგუფი).

[129] მაგალითისთვის იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული 2019 წლის საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 111-ე (პასუხისმგებლობა ოჯახური ძალადობისთვის) და 1261-ე (ოჯახში ძალადობა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მიხედვით განაჩენის გამოტანით განხილული საქმეების რაოდენობის შესახებ მონაცემები, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2FwDGwj, [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

სამწუხაროდ, სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებში ასახული არ არის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მოძალადის სქესი[130], მოძალადისა და მსხვერპლის ასაკი და ურთიერთობა. ამასთან, შესაძლებელია აისახოს ისეთი ფაქტორებიც, როგორიც არის ოჯახური ძალადობა ჩადენილი არასრულწლოვნის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან/და ორსული ქალის მიმართ. სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების წარმომადგენლებთან ჩატარებული ჯგუფური ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ სასამართლოები სტამბოლის კონვენციით აღებული ვალდებულებების შესრულებაზე მუშაობენ და საცდელ რეჟიმში დაწყებულია ისეთი ინფორმაციის აღრიცხვა, რაც ასახავს მოძალადისა და მსხვერპლის ურთიერთობას, რაც წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს.

ოჯახში ძალადობის შემთხვევაში კიდევ ერთი საყურადღებო კატეგორია არის სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი ოჯახური დანაშაული. 2018 წელს გაეროს დამოუკიდებელი ექსპერტი ძალადობისა და დისკრიმინაციის საკითხთან დაკავშირებით ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოში. ექსპერტმა მისიის თაობაზე განცხადებაში, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, ასევე ხაზი გაუსვა, რომ უზენაეს სასამართლოს ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით არ აღმოაჩნდა ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი ოჯახური ძალადობის შემთხვევა მოხდა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე. შედეგად, მან სახელმწიფო ორგანოებს, მათ შორის, სასამართლოს მოუწოდა სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიადაგზე ჩადენილი ოჯახური ძალადობის შემთხვევების იდენტიფიცირებისა და შესაბამისი სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებისაკენ.[131] სამწუხაროდ, საერთო სასამართლოები დღემდე არ ამუშავებენ ამ ინფორმაციას.[132]

ჯგუფური ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ მიმდინარე წელს გაფორმდა უწყებებს[133] შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი, სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებში შეტანილ იქნა სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულთა ცნება და ასეთ საქმეებზე აღირიცხება დისკრიმინაციის ნიშნებიც, ხოლო სტატისტიკური მონაცემები განთავსდება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებგვერდზე, რაც დადებით შეფასებას იმსახურებს. მიუხედავად ამისა, სასურველია, დისკრიმინაციის ნიშნები უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე ოჯახური დანაშაულების შესახებ მონაცემთა შორისაც აისახოს. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სასამართლოები არ ამუშავებენ მსხვერპლთა ასაკის შესახებ მონაცემებს,[134] რომლის დამუშავება და გამოქვეყნება ასევე მნიშვნელოვანია.

130 სქესის მიხედვით ასახულია მხოლოდ მსხვერპლ ქალთა რაოდენობა, მაგრამ არ არის მითითებული მოძალადეთა სქესი.

131 სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის საფუძველზე ძალადობისა და დისკრიმინაციის დაცვის საკითხებზე დამოუკიდებელი ექსპერტის მანდატი, მისიის დასრულების შემდგომი განცხადება, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2YgjVjl, [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

132 ინფორმაცია ეფუძნება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 5 ოქტომბრის N N3-0499/3986481, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 9 ოქტომბრის N988/გ და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 13 ოქტომბრის N 659 გ/კ წერილებს.

133 იქვე, გვ. 66.

134 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების წარმომადგენლებთან ჯგუფური ინტერვიუ (ფოკუს-ჯგუფი).

ამდენად, ოჯახში ძალადობის თაობაზე უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები სრულყოფილი არ არის. თუმცა, როგორც აღინიშნა, არსებული პრობლემების აღმოფხვრაზე მუშაობა ინტენსიურად მიმდინარეობს.[135]

6.4. საკასაციო სასამართლოების ვებგვერდებზე გამოქვეყნებული სტატისტიკა

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკა მოიცავს სისხლის სამართლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმეების შესახებ ზოგად ინფორმაციას. საქმეები დაყოფილია შემდეგი კატეგორიების მიხედვით: დაუმთავრებელ საქმეთა ნაშთი წლის დასაწყისისთვის, შემოსულ, დასრულებულ და წლის ბოლოს დაუმთავრებელ საქმეთა ნაშთი.[136] სისხლის სამართლის საქმეებში აღნიშნული კატეგორიები ასევე ჩაშლილია დანაშაულის სიმძიმის[137] მიხედვით, ხოლო სამოქალაქო საქმეებში - საჩივრის სახეების მიხედვით.[138] იმავე პრინციპით არის კატეგორიები დაყოფილი ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით. რაც შეეხება საგამოძიებო კოლეგიაში შესულ საქმეებს, მონაცემებში ასახულია შემოსულ საქმეთა, განხილულ საქმეთა და განუხილველი საჩივრების რაოდენობა საჩივრის სახეებთან მიმართებით.[139] აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნება სასამართლოს მუშაობის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას ქმნის, თუმცა სრულყოფილი არ არის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოში სტატისტიკა გამოქვეყნებულია იმავე პრინციპით ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის და სამოქალაქო მიმართულებით. თუმცა, არცერთი სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე არ ქვეყნდება სააპელაციო საჩივრის განხილვის შედეგებისა და სახეების შესახებ ინფორმაცია.

მიუხედავად იმისა, რომ დადებითად უნდა შეფასდეს სააპელაციო სასამართლოთა მიერ სტატისტიკის ერთიანი სტანდარტით გამოქვეყნება, მნიშვნელოვანია, რომ ვებგვერდზე განთავსდეს სააპელაციო საჩივრის განხილვის შედეგებისა და სახეების შესახებ ინფორმაცია. სააპელაციო სასამართლო მრავალი სახის ინფორმაციას ამუშავებს.[140] მართალია, საქმეთა ან სამართალწარმოების სტადიების საშუალო ხანგრძლივობა და ვადები აღრიცხული არ არის, თუმცა მონაცემები თითოეულ სისხლის სამართლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეზე მითითებულია შესვლისა და დასრულების თარიღებით, რაც დაინტერესებულ პირს შესაძლებლობას აძლევს დაახარისხოს და გარდაქმნას ეს ინფორმაცია საშუალო ხანგრძლივობად. სააპელაციო სასამართლო სისხლის სამართლის, სამოქალაქო და

135 იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების წარმომადგენლებთან ჩატარებულ ჯგუფური ინტერვიუს (ფოკუს-ჯგუფის) შედეგად მიღებული ინფორმაცია.

136 სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე ასევე მითითებულია განსჯადობით გადაცემული საქმეების რაოდენობა, ხოლო სისხლის სამართლის საქმეზე - პროკურორის საჩივრით და კერძო საჩივრით შესულ საჩივართა რაოდენობა.

137 ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე.

138 სააპელაციო საჩივარი, კერძო საჩივარი, განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო და ა.შ.

139 მაგალითად: აღკვეთის ღონისძიება, წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შედეგები, საგამოძიებო მოქმედებები და სხვ. იხ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/37TAerx, [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

140 ინფორმაცია ეფუძნება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 9 ოქტომბრის N1/6027 წერილსა და მის დანართებს.

ადმინისტრაციულ საქმეებზე მონაცემებს აწარმოებს დავათა/დანაშაულთა სახის მიხედვით, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქმეებს მოპასუხეთა მიხედვით, ასევე აღირიცხება მონაცემები თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარმოებულ სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე ვადის დაცვის/დარღვევის თაობაზე.

სამწუხაროდ, სტატისტიკური ინფორმაცია არ მუშავდება მედიაციაზე, ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობა დაკისრებული პირების ასაკსა და სქესზე, ოჯახში ძალადობისა და დამცავი/შემაკავებელი ორდერების შესახებ საქმეებზე არ აღირიცხება ურთიერთობის ტიპი, მსხვერპლისა და მოძალადის ასაკი, ასევე დისკრიმინაციის ნიშანი.[141]

თბილისის სააპელაციო სასამართლოსგან განსხვავებით, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენასთან დაკავშირებით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებში დისკრიმინაციის ნიშანი გამოყოფილი არ არის.[142] აგრეთვე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს არ მოუწოდებია მონაცემები თითოეულ საქმეზე შესვლისა და დასრულების თარიღის მითითებით, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლომ სტატისტიკა მოგვაწოდა ამობეჭდილი სახით, 1231 ფურცლად. აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს სააპელაციო სასამართლოების ვებგვერდებზე სტატისტიკის განთავსების მნიშვნელობას, ვინაიდან არსებული მიდგომების გათვალისწინებით, ფაქტობრივად შეუძლებელია ან ძალიან დიდ ძალისხმევასა და დროის რესურს მოითხოვს სასამართლოდან მიღებული ინფორმაციის დამუშავება.

საინტერესოა აშშ-ში სააპელაციო სასამართლოების მიერ განხილული საქმეების სტატისტიკის გამოქვეყნების პრაქტიკა. აშშ-ს სასამართლო სისტემის ვებგვერდზე განთავსებული სააპელაციო სასამართლოების სტატისტიკური მონაცემები მოიცავს პირველი ინსტანციის სასამართლოების, სამართალწარმოების სახისა და შედეგების მიხედვით სასამართლო გადაწყვეტილებათა შესახებ ინფორმაციას.[143] მონაცემებში ასახულია სასამართლო საქმეები ერთ მოსამართლესა და პალატაზე გაანგარიშებით, ასევე, მოცემულია სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეები ჩაშლილად დავათა სახეების მითითებით. წლების მიხედვით აღრიცხულია რამდენი მოსამართლე ახორციელებდა უფლებამოსილებას სასამართლოში და ამავე პერიოდში შესულ, დასრულებულ და წლის ბოლოს განსახილველად დარჩენილ საქმეთა რაოდენობა.

მართლმსაჯულების განხორციელების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით აშშ-ში გამოქვეყნებულია საკმაოდ მრავალფეროვანი ინფორმაცია: დროის საშუალო ხანგრძლივობა სააპელაციო საჩივრის შესვლიდან საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე თითოეულ სააპელაციო სასამართლოში, საქმის წარმოებაში მიღებიდან არსებით განხილვამდე, სააპელაციო საჩივრის წარდგენიდან მოწინააღმდეგე მხარის მიერ სააპელაციო შესაგებლის წარმოდგენამდე, სააპელაციო შესაგებლის წარმოდგენიდან პირველ ზეპირ მოსმენამდე,

141 ინფორმაცია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოდან მიღებულ N1/6027 წერილს და თანდართულ სტატისტიკას.

142 ინფორმაცია ეფუძნება ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2020 წლის 8 ოქტომბრის N747-2/10 წერილს.

143 აშშ-ს სასამართლო სისტემის ვებგვერდზე სააპელაციო სასამართლოების შესახებ დეტალური სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია ბმულზე: https://bit.ly/3aHbeDJ, [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

მოსმენამდე, პირველი ზეპირი მოსმენიდან საბოლოო გადაწყვეტილებამდე, სააპელაციო საჩივრის წარდგენიდან საბოლოო გადაწყვეტილებამდე და პირველი ინსტანციაში საქმის წარდგენიდან სააპელაციო სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებამდე. ასევე, პერიოდების მიხედვით არის წარმოდგენილი საქმეები, რომლებიც სამ თვეზე მეტია განხილვის პროცესშია.[144]

საქართველოში არც უზენაესი სასამართლო და არც სააპელაციო სასამართლოები ინფორმაციას სააპელაციო სასამართლოში შესულ დავათა/დანაშაულთა სახეების შესახებ არ აქვეყნებენ. საუკეთესო პრაქტიკა მიუთითებს, რომ მნიშვნელოვანია ამ სტატისტიკური მონაცემების ვებგვერდზე განთავსება. რაც შეეხება საქმეთა საშუალო ხანგრძლივობას, აუცილებელია, სააპელაციო სასამართლოებში ეს ინფორმაცია დამუშავდეს.

6.5. საქალაქო სასამართლოების ვებგვერდებზე გამოქვეყნებული სტატისტიკა

ა. თბილისის საქალაქო სასამართლო

თბილისი საქალაქო სასამართლო ვებგვერდზე მრავალმხრივ სტატისტიკურ ინფორმაციას აქვეყნებს, რომელიც შეეხება სისხლის სამართლის საქმეებს[145], მსჯავრდებულთა რაოდენობისა და სასჯელის ღონისძიებათა შესახებ მონაცემებს, დანაშაულთა ჩადენის ადგილის, დროისა და მსჯავრდებულთა შემადგენლობის შესახებ მონაცემებს, ასახულია არასრულწლოვან მსჯავრდებულთა სტატისტიკა[146] დანაშაულის სახეების მიხედვით, მონაცემები საგამოძიებო ხაზით ჩატარებული მოქმედების შესახებ[147], ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობა დაკისრებულ პირთა რაოდენობის შესახებ, მონაცემები ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე დავის სახეების მიხედვით. თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დეტალური სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნება დადებით შეფასებას იმსახურებს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, ამ სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია მხოლოდ უკანასკნელი ხუთი წლის სტატისტიკური მონაცემები.

ბ. ბათუმის საქალაქო სასამართლო

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებულია ყოველწლიური ზოგადი სტატისტიკური მონაცემები სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის საქმეების შესახებ.[148] სამოქალაქო საქმეების თაობაზე ინფორმაცია მოიცავს მხოლოდ

144 კატეგორიები დაყოფილია 3-5, 6-8, 9-11 და 12 თვე და მეტ პერიოდებად.

145 სისხლის სამართლის განხილვის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებში დანაშაულთა სახეები მიემართება შემდეგი კატეგორიის მონაცემებს: სისხლის სამართლის კოდექსის მუხლს, საწყის ნაშთს, საანგარიშო პერიოდში შესულ საქმეებს, დამდგარ შედეგს, დასრულებულ საქმეთა რაოდენობას და დარჩენილ ნაშთს.

146 სისხლის სამართლის განხილვის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებში დანაშაულთა სახეები მიემართება შემდეგი კატეგორიის მონაცემებს: სისხლის სამართლის კოდექსის მუხლს, საწყის ნაშთს, საანგარიშო პერიოდში შესულ საქმეებს, დამდგარ შედეგს, დასრულებულ საქმეთა რაოდენობას და დარჩენილ ნაშთს.

147 ინფორმაცია საგამოძიებო ხაზით ჩატარებული მოქმედებების შესახებ ჩამოთვლის აღკვეთის ღონისძიებების, სამართლებრივი იძულების ღონისძიებისა და სხვა ტიპის საგამოძიებო ღონისძიებების შესახებ მონაცემებს დაწვრილებით.

148 მაგალითად, ბათუმის საქალაქო სასამართლო, 2019 წლის სტატისტიკური ინფორმაცია, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3gfDNcg, [წვდომის თარიღი: 29.06.2020].

საანგარიშო პერიოდში შესულ და დასრულებულ საქმეთა რაოდენობას. იმავე პრინციპით არის აღრიცხული ადმინისტრაციული საქმეები.[149]

სისხლის სამართლის საქმეთა შესახებ გამოქვეყნებული ინფორმაცია მოიცავს შესულ, წინასწარ გამოძიებაში დაბრუნებულ, ასევე დასრულებულ საქმეთა რაოდენობას და განხილვის შედეგებს![150] სტატისტიკურ მონაცემებში ასახულია საგამოძიებო ორგანოდან შემოსული შუამდგომლობების თაობაზე ინფორმაცია![151] ასევე, გამოქვეყნებულია აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ მონაცემები, აღკვეთის ღონისძიებათა სახეების მითითებით. აღსანიშნავია, რომ მონაცემები შემოიფარგლება მხოლოდ შემოსული და განხილული შუამდგომლობების რიცხვით და არ მოიცავს დაკმაყოფილებულ შუამდგომლობათა რაოდენობას. შესაბამისად, სასურველია, გამოქვეყნებულ მონაცემებს დაემატოს განხილვის შედეგები, ხოლო აღკვეთის ღონისძიებებთან დაკავშირებით, ასევე შუამდგომლობათა რაოდენობა, რომელთა დაკმაყოფილებაზეც უარი ეთქვა საგამოძიებო ორგანოებს ან შეიცვალა სხვა სახის აღკვეთის ღონისძიებით. მნიშვნელოვანია გამოქვეყნდეს კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ ინფორმაციაც.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული მონაცემები დეტალურად არ ასახავს სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის საქმეთა დინამიკასა და დავის კატეგორიებს, სასურველია, რომ მონაცემები გამოქვეყნდეს ჩაშლილად საქმეთა/დანაშაულთა სახეების მიხედვით, ხოლო სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე ასევე აღირიცხოს საქმეთა განხილვის შედეგები. მნიშვნელოვანია გამოქვეყნდეს ოჯახური ძალადობისა და დამცავი/შემაკავებელი ორდერების შესახებ საქმეებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის საქალაქო სასამართლოს სტატისტიკის სამსახური არ ჰყავს, რაც ართულებს სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნებას![152]

3. რუსთავის საქალაქო სასამართლო

რუსთავის საქალაქო სასამართლოში სტატისტიკის განყოფილებაში მხოლოდ 2019 და 2020 წლების მონაცემები არის ხელმისაწვდომი![153] სტატისტიკა მოიცავს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მაგისტრატ სასამართლოებში საანგარიშო პერიოდში შესულ და დასრულებულ საქმეთა, ასევე, სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით საპროცესო შეთანხმებით დასრულებულ საქმეთა რაოდენობას, საგამოძიებო ორგანოებიდან შესული

[149] ადმინისტრაციული საქმეები დამატებით ასევე მოიცავს მეწარმის საქმიანობის კონტროლთან დაკავშირებით შემოსული შუამდგომლობების, ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით შემოსული და დაკმაყოფილებული შუამდგომლობებისა და განხილული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების რაოდენობას.

[150] საპროცესო შეთანხმებით დასრულებული, შეწყვეტილი, არსებითი განხილვით დასრულებული და მათ შორის, გამამართლებელი განაჩენით, ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენით დასრულებული საქმეები.

[151] შუამდგომლობები პირის დაკავებაზე, ქონებაზე ყადაღის დადებაზე, ამოღების ჩატარების შესახებ, ამოღების კანონიერად ცნობის შესახებ, ჩხრეკის ჩატარების შესახებ, ჩხრეკის კანონიერად ცნობის შესახებ, პირის მოთავსება სამედიცინო დაწესებულებაში, საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერება, საცხოვრებელი ბინის ან სხვა მფლობელობის დათვალიერების დაკანონება, სხვა საგამოძიებო მოქმედებებზე შუამდგომლობები.

[152] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების წარმომადგენლებთან ჯგუფური ინტერვიუ (ფოკუს-ჯგუფი).

[153] რუსთავის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდი, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2EcjzDj, [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

შესული შუამდგომლობების თაობაზე ინფორმაციას, მათ შორის, შუამდგომლობათა სახეებს, თუმცა არ არის მითითებული დაკმაყოფილებულ შუამდგომლობათა რიცხვი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, რუსთავის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდზე სტატისტიკური ინფორმაცია გამოქვეყნებულია ზოგადი და არასრულყოფილი სახით. მონაცემები არ იძლევა სასამართლოს მუშაობის შეფასების ან ინფორმაციის დამუშავების/გაანალიზების შედეგად დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას. შესაბამისად, რჩება შთაბეჭდილება, რომ სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნებას მხოლოდ ფორმალური დატვირთვა აქვს.

როგორც უკვე აღინიშნა, სასამართლოების ვებგვერდებზე მწირი სტატისტიკის გამოქვეყნება პირდაპირ დაკავშირებულია სასამართლოში სტატისტიკის სამსახურის არარსებობასთან, ასევე არასაკმარის ადამიანურ რესურსთან, რაც ამჟამად ყველა სასამართლოსთვის პრობლემას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ რუსთავის საქალაქო სასამართლო სტატისტიკას სრულყოფილად არ აქვეყნებს, უნდა აღინიშნოს, რომ ის ერთ-ერთ ყველაზე ღია სასამართლოდ შეფასდა კომუნიკაციისა და ინფორმაციის დროულად მიწოდების თვალსაზრისით.[154]

დ. შეჯამება

მონიტორინგის პროცესმა გამოავლინა, რომ საქალაქო სასამართლოებში სტატისტიკა ერთნაირი სტანდარტით არ ქვეყნდება. შეფასებულ სამ საქალაქო სასამართლოს შორის, ყველაზე დეტალურ მონაცემებს თბილისის საქალაქო სასამართლო აქვეყნებს. მნიშვნელოვანია, რომ საქალაქო/რაიონულ სასამართლოებში დამკვიდრდეს სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნების ერთიანი სტანდარტი. ინფორმაციის გამოქვეყნების აუცილებლობაზე მიუთითებს სტატისტიკით დაინტერესებული პირების გამოცდილება: ინფორმაციის მოთხოვნის წერილებს სასამართლოები გვიან ან არასრულყოფილად პასუხობენ. ამავე დროს, ახალი სტატისტიკის დამუშავებაზე ნაკლებია მათი მხრიდან თანამშრომლობის სურვილი და დაინტერესება.[155]

მართალია, სასამართლოები აღრიცხავენ ინფორმაციას საქმეთა განხილვის ვადის დარღვევასთან დაკავშირებით, თუმცა სასურველია, ასევე დაიწყოს საქმეთა განხილვის ვადებისა და ხანგრძლივობის შესახებ ინფორმაციის დამუშავება.

სტატისტიკის წარმოების მხრივ პრობლემებს საერთო სასამართლოებში ადამიანური რესურსის ნაკლებობა განაპირობებს. მითუმეტეს, რომ არსებულ სტატისტიკურ ფორმებში მონაცემები სასამართლოების თანამშრომლებს მექანიკურად, ხელით შეჰყავთ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საერთო სასამართლოებში ამ მიმართულებით გარკვეული ცვლილებები იგეგმება, რათა რიგი პროცესები ავტომატიზებული გახდეს.[156]

[154] ინფორმაცია ეფუძნება კვლევის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ადვოკატებთან ჩატარებულ ინტერვიუებს.

[155] ინფორმაცია ეფუძნება კვლევის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და ადვოკატებთან ჩატარებულ ინტერვიუებს.

[156] იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტისა და საერთო სასამართლოების წარმომადგენლებთან ჯგუფური ინტერვიუ (ფოკუს-ჯგუფი).

მონიტორინგის პროცესში შემოწმებული სასამართლოებიდან მხოლოდ თბილისის საქალაქო სასამართლო აქვეყნებს დავათა/დანაშაულთა სახეების მიხედვით ინფორმაციას მის ტერიტორიულ განსჯადობას დაქვემდებარებულ საქმეებზე. რუსთავისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოების ვებგვერდებზე განთავსებული სტატისტიკურ ინფორმაცია ძალიან ფრაგმენტულია. გარდა ამისა, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე არ ქვეყნდება თითოეულ საქალაქო/რაიონულ სასამართლოსთან მიმართებით დავის/დანაშაულის სახეების მიხედვით სტატისტიკა. ინფორმაციის გამოთხოვის შემთხვევაში კი სასამართლოები უთითებენ, რომ ინფორმაციის მოძიება და დამუშავება დიდ დროსა და რესურს საჭიროებს, რის გამოც ზოგიერთი შემთხვევაში, სტატისტიკას არ გასცემენ.[157] შესაბამისად, საქართველოში გამოქვეყნებულ მონაცემებზე დაყრდნობით, შეუძლებელია შეფასდეს, სხვადასხვა რაიონში მართლმსაჯულების მდგომარეობის კუთხით არსებული პრობლემები და ტენდენციები, ხოლო ინფორმაციის გამოთხოვისას არსებობს პასუხის დაგვიანებით ან არასრულყოფილად მიღების რისკი.

მიზანშეწონილია, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებმა, თბილისის საქალაქო სასამართლოს მსგავსად, გამოაქვეყნონ დეტალური სტატისტიკური მონაცემები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას დავათა სახეებისა და მათი განხილვის შედეგების შესახებ, ასევე საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებული შუამდგომლობების შედეგებს, მათ შორის, კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებულ საგამოძიებო მოქმედებებზე.

აღსანიშნავია, რომ მედიაციის, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საფუძველზე არასრულწლოვანი პირებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე სტატისტიკას ზოგიერთი სასამართლო აწარმოებს, ზოგიერთი კი არა. ამასთან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის საფუძველზე წარმოებულ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეების შესახებ სტატისტიკას რუსთავის საქალაქო სასამართლო არ ამუშავებს, ხოლო ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და თბილისში წარმოებს თუ არა სტატისტიკა ბუნდოვანია.[158]

საინტერესოა აშშ-ს პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილული საქმეების სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების პრაქტიკა. აშშ-ს სასამართლო სისტემის ვებგვერდზე სასამართლოს მუშაობისა და მართლმსაჯულების თაობაზე სხვადასხვა ტიპის, მრავალფეროვანი სტატისტიკა არის განთავსებული, მათ შორის, დანაშაულის/დავის სახეების შესახებ ინფორმაცია, მოსარჩელეთა და მოპასუხეთა რაოდენობა, სასამართლოებში განხილულ საქმეთა რაოდენობა, საქმეთა განხილვის შედეგები, მაგისტრატი მოსამართლეების მიერ განხილული საქმეების[159] შესახებ მონაცემები. დანაშაულთა სახეები/სამოქალაქო საქმეები ასევე აღრიცხულია პირველი ინსტანციის სასამართლოების მიხედვით.[160] აშშ-ს სასამართლო

157 ინფორმაცია ეფუძნება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 5 ოქტომბრის N3-0499/3986481 და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 9 ოქტომბრის N987/გ წერილებს.

158 ინფორმაცია ეფუძნება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 5 ოქტომბრის N N3-0499/3986481, რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 9 ოქტომბრის N988/გ და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 13 ოქტომბრის N 659 გ/კ წერილებს, სადაც რუსთავის სასამართლომ განმარტა, რომ ამ ტიპის სტატისტიკას არ ამუშავებს, ბათუმის საქალაქო სასამართლომ კი მიუთითა, რომ 2018-2019 წლებში ამ სტატისტიკას არ ამუშავებდა, თუმცა, არაფერი უთქვამს 2020 წელს დაიწყო თუ არა სასამართლომ სტატისტიკის წარმოება. თბილისის საქალაქო სასამართლომ კი ყურადღების მიღმა დატოვა აღნიშნული საკითხი.

159 დაკავება, აღკვეთის ღონისძიებები (მათი სახეების მიხედვით), ჩხრეკის ორდერზე შუამდგომლობების განხილვა, ბრალდების წაყენების პროცესი, მოსამზადებელი სხდომები.

160 აშშ-ს სასამართლო სისტემის ვებგვერდზე პირველი ინსტანციის სასამართლოების შესახებ დეტალური სტატისტიკური მონაცემები ხელმისაწვდომია ბმულზე: https://bit.ly/3l4l8DS, [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

სისტემის ვებგვერდზე ასევე ვხვდებით ჩხრეკის ორდერის გაცემის შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს დანაშაულის ტიპის მიხედვით.[161]

გარდა ამისა, აშშ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები დეტალურად ასახავს პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროსთან დაკავშირებულ ინფორმაციას. მაგალითად, ასახულია საქმის განხილვის საშუალო დრო, საქმეთა რაოდენობა, რომელთაც სამ წელზე მეტი დრო დასჭირდათ განსახილველად,[162] აღრიცხულია განხილულ სისხლისა და სამოქალაქო საქმეებს ჯამში რამდენი დღე დაეთმო. აშშ ასევე აქვეყნებს სტატისტიკურ ინფორმაციას საქმეთა განხილვის დროის ხანგრძლივობის შესახებ წლების რაოდენობის მითითებით.[163] საქმეთა განხილვის ხანგრძლივობის შესახებ სტატისტიკის წარმოება ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის სასამართლოების მუშაობის შეფასების ერთ-ერთი ინდიკატორია.

სისხლის სამართლის საქმეებთან მიმართებით ასევე საინტერესო იქნება სტატისტიკა ფინანსური ვალდებულებების დაკისრებასთან დაკავშირებით და მათი ჩაშლა კატეგორიების მიხედვით ისე, როგორც ეს გამოქვეყნებულია დიდ ბრიტანეთში.[164] გაერთიანებული სამეფოს პრაქტიკის მსგავსად, საინტერესო იქნება სასჯელის სახედ თანხის დაკისრების შემთხვევების შესახებ სტატისტიკის წარმოებაც. გარდა ამისა, ინგლისის და უელსის სასამართლოების სამოქალაქო საქმეების განხილვის შესახებ სტატისტიკაში მოცემულია სარჩელის სასამართლოში შეტანიდან მის სასამართლო მოსმენამდე დროის საშუალო მაჩვენებელიც,[165] ხოლო საქართველოში არათუ მოსმენამდე პერიოდი, საქმის განხილვის ხანგრძლივობის ზოგადი სტატისტიკაც კი არ არის გამოქვეყნებული.

6.6. სასამართლოების ვებგვერდებზე გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაციის ფორმატი

სასამართლო სტატისტიკის სრულფასოვანი ანალიზისთვის, გამოქვეყნებული მონაცემების შინაარსის გარდა, მნიშვნელოვანია მისი მომხმარებელზე ორიენტირებულობის შეფასება. აღნიშნულ ფაქტორს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემების ფორმატი, გამოყენებული ვიზუალიზაციები და მონაცემთა ანალიტიკური მოდულები.

სტატისტიკის ღია და ადვილად დამუშავებად ფორმატში გამოქვეყნება მომხმარებელს მონაცემებით შეუფერხებლად სარგებლობის შესაძლებლობას აძლევს. გამოყენებული ვიზუალიზაციები (დიაგრამები, რუკა და სხვა) დაინტერესებულ პირს უადვილებს სტატისტიკური

161 აშშ-ს სასამართლო სისტემის ვებგვერდზე ჩხრეკასთან დაკავშირებით სტატისტიკური მონაცემები მოთხოვნილი, დაკმაყოფილებული და უარყოფილი ჩხრეკის ორდერების რაოდენობა, ხელმისაწვდომია ბმულზე: https://bit.ly/3hftsyi, [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

162 მხოლოდ სამოქალაქო საქმეებზე.

163 კერძოდ, საქმეები დაყოფილია ამგვარად: საქმეთა რაოდენობა, რომელთა განხილვასაც დასჭირდათ ერთ წელზე ნაკლები, 1-დან 2-წლამდე, 2-დან 3 წლამდე, სამი წელი და მეტი.

164 Criminal court statistics quarterly, England and Wales, January to March 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/2OJ1P47 [წვდომის თარიღი: 28.10.2020].

165 Civil Justice Statistics Quarterly, England and Wales, January to March 2020, ხელმისაწვდომია: https://bit.ly/30LR3jt [წვდომის თარიღი:28.10.2020].

მონაცემების აღქმას და ხელს უწყობს გონებაში ინფორმაციის მკაფიო და ზუსტ აღბეჭდვას. სტატისტიკის ელექტრონული მოდულები მომხმარებელს ეხმარება სასურველი ინფორმაციის მოძიებაში, კატეგორიზაციასა და ანალიზში.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2013 წლის 27 დეკემბრის N1/225 გადაწყვეტილების მიხედვით, სასამართლოები ვალდებული არიან გამოაქვეყნონ მათი საქმიანობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები. აღნიშნული დადგენილება არ აკონკრეტებს, თუ რა შინაარსის მონაცემებს უნდა შეიცავდეს სასამართლოს მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები და რა ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი ვებგვერდზე. საბჭოს მიერ განსაზღვრული ინფორმაციის გამოქვეყნების სტანდარტი აწესებს მხოლოდ მინიმალურ მოთხოვნებს, რომლის მიხედვით, მომხმარებელს უნდა ჰქონდეს ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის ჩამოტვირთვის, ბეჭდვისა და კოპირების შესაძლებლობა.

სასამართლოების ვებგვერდებზე საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების მონიტორინგის შედეგების მიხედვით, სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების ვალდებულება მეტ-ნაკლები სისრულით შესრულებული აქვს მხოლოდ 16 სასამართლოს. ამ სასამართლოების მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკის ფორმატი ინსტანციების და სტატისტიკის მოცულობიდან გამომდინარე განსხვავებულია. კერძოდ, 16 სასამართლოდან 10 სასამართლოს შემთხვევაში მწირი სტატისტიკური მონაცემები ვებგვერდზე წარმოდგენილია ჩანაწერის სახით (HTML ფორმატი), 4 სასამართლოს შემთხვევაში (უზენაესი და სააპელაციო სასამართლოები, ზუგდიდის რაიონული სასამართლო) ვებგვერდზე სტატისტიკა გამოქვეყნებულია PDF ფორმატში, ხოლო მხოლოდ 2 სასამართლოს (თბილისის საქალაქო და ბოლნისის რაიონული სასამართლო) შემთხვევაში, სტატისტიკური ინფორმაცია გამოქვეყნებულია ღია დამუშავებად Excel-ის ფორმატში.

სტატისტიკური ინფორმაციის ფორმატი



სასამართლოების მიერ გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაციის ფორმატი

სასამართლოები, რომელთაც გამოქვეყნებული აქვთ სტატისტიკური მონაცემები	გამოქვეყნებული სტატისტიკის ფორმატი	ვიზუალიზაციის საშუალება
საქართველოს უზენაესი სასამართლო	PDF	PDF დოკუმენტში განთავსებული ვიზუალიზაციები
თბილისის სააპელაციო სასამართლო	PDF	ელექტრონული ვიზუალიზაციის საშუალება
ქუთაისის სააპელაციო სასამართლო	PDF	_
თბილისის საქალაქო სასამართლო	Excel	ელექტრონული ვიზუალიზაციის საშუალება
ქუთაისის საქალაქო სასამართლო	ჩანაწერი ვებ-გვერდზე	_
ბათუმის საქალაქო სასამართლო	ჩანაწერი ვებ-გვერდზე	_
რუსთავის საქალაქო სასამართლო	ჩანაწერი ვებ-გვერდზე	_
ზუგდიდის რაიონული სასამართლო	PDF	_
ბოლნისის რაიონული სასამართლო	Excel	_
თელავის რაიონული სასამართლო	ჩანაწერი ვებ-გვერდზე	_
სენაკის რაიონული სასამართლო	ჩანაწერი ვებ-გვერდზე	_
სიღნაღის რაიონული სასამართლო	ჩანაწერი ვებ-გვერდზე	_

ზესტაფონის რაიონული სასამართლო	ჩანაწერი ვებ-გვერდზე	_
ახალციხის რაიონული სასამართლო	ჩანაწერი ვებ-გვერდზე	_
ხელვაჩაურის რაიონული სასამართლო	ჩანაწერი ვებ-გვერდზე	_
ხაშურის რაიონული სასამართლო	ჩანაწერი ვებ-გვერდზე	_

როგორც ზემოთ აღინიშნა, რაიონული და საქალაქო სასამართლოების უმრავლესობას სტატისტიკა გამოქვეყნებული აქვს ვებგვერდზე ჩანაწერის სახით - HTML ფორმატში. ეს ფორმატი წარმოდგენს ღია მონაცემების ერთ-ერთ სახეს, რომელიც ძირითადად გამოიყენება ნარატიული დოკუმენტების მანქანად კითხვად ფორმატში გამოსაქვეყნებლად და არა სტატისტიკური მონაცემებისათვის. ამასთან, საქართველოს სასამართლოების მიერ მსგავსი ფორმით ინფორმაციის გამოქვეყნება ნაკლებად უკავშირდება სტატისტიკური მონაცემების ღია ფორმატით ხელმისაწვდომობის მიზნებს. უზენაესი და სააპელაციო სასამართლოების შემთხვევაში, სტატისტიკური მონაცემების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია PDF ფორმატში, რაც მნიშვნელოვნად ართულებს მომხმარებლისთვის აღნიშნულ მონაცემებთან მუშაობას. საქართველოს სასამართლოების მაგალითზე, სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების ფორმატის ყველაზე კარგ მაგალითად შესაძლებელია შეფასდეს თბილისის საქალაქო და ბოლნისის რაიონული სასამართლოს მიერ Excel-ის ფორმატში გამოქვეყნებული მონაცემები.



სტატისტიკა

A- A+

ინფორმაცია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე

27-12-2019

ინფორმაცია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე 2020 წლის 24 მარტის მდგომარეობით:

განხილვის სახე	რაოდენობა
სულ	4065
მათ შორის:	
- სისხლის სამართლის საქმე	185
- სამოქალაქო სამართლის საქმე	3085
- ადმინისტრაციული სამართლის საქმე	795

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მიერ HTML-ფორმატში გამოქვეყნებული მწირი მონაცემები.

გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაციის უფრო თვალნათლივ აღსაქმელად, გრაფიკული და დიაგრამული ვიზუალიზაციები გამოყენებულია მხოლოდ სამი სასამართლოს[166] მიერ.

სტატისტიკური ინფორმაციის ვიზუალიზაცია



საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე სტატისტიკური ინფორმაციის ვიზუალიზაციები შემოიფარგლება მხოლოდ სტატისტიკის PDF-დოკუმენტებში განთავსებული გრაფიკებითა და დიაგრამებით.

თბილისის სააპელაციო და თბილისის საქალაქო სასამართლოების შემთხვევაში შექმნილია სტატისტიკის ელექტრონული მოდულები, რომელიც უზრუნველყოფს სტატისტიკის გარკვეულ კატეგორიზაციას და ვიზუალურ გამოსახვას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ვებგვერდზე განთავსებული სტატისტიკის მოდული მომხმარებელს საშუალებას აძლევს საქმეების სახეების, წლების და წარმოებათა სახეების მიხედვით მონაცემთა შედარების შესაძლებლობას, გრაფიკული გამოსახვით.

[166] საქართველოს უზენაესი სასამართლო, თბილისის სააპელაციო და თბილისის საქალაქო სასამართლოები.



თბილისის საქალაქო სასამართლოს ვებგვერდზე წარმოდგენილი ელექტრონული ვიზუალიზაციის საშუალებაში ასახულია მხოლოდ მწირი მონაცემები და სრულად ვერ უზრუნველყოფს თბილისის საქალაქო სასამართლოს სტატისტიკის ვიზუალიზაციას. ამასთან, სხვადასხვა კატეგორიის საქმეებში გამოქვეყნებული მონაცემების პერიოდი განსხვავებულია. მაგალითად, სისხლის სამართლის განყოფილებაში წარმოდგენილია მხოლოდ 2010-2019 წლებში გამამართლებელ განაჩენთა დინამიკა, ადმინისტრაციულ საქმეებში - მხოლოდ 2020 წლის პირველ კვარტალში საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან გამომდინარე გადაწყვეტილებით გამოტანილი საქმეების სტატისტიკა, ხოლო სამოქალაქო საქმეებში - 2020 წლის პირველ კვარტალში სამრეწველო საკუთრებასთან, საავტორო და მომიჯნავე უფლებებთან დაკავშირებული დავები. ასევე, სამუშაოზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების შესახებ დავის საგნით დასრულებულ საქმეთა სტატისტიკა.



როგორც ანალიზი აჩვენებს, საქართველოს სასამართლოების ვებგვერდებზე გამოქვეყნებული სტატისტიკური ინფორმაციის ფორმატი განსხვავებულია. იმ სასამართლოებს, რომლებიც შედარებით ინფორმაციული კატეგორიების სიუხვით გამოირჩევა (მაგალითად, საქართველოს უზენაესი სასამართლო), მონაცემები წარმოდგენილი აქვს PDF ფორმატში, რაც ვერ პასუხობს ღია მონაცემების კარგ სტანდარტს. ცალკეული სასამართლოების შემთხევაში, შექმნილია მონაცემთა ვიზუალიზაციის ელექტრონული საშუალებები, რომლებიც ვერ გამოირჩევა როგორც ინფორმაციული, ასევე ანალიტიკური ფუნქციონალის სიმდიდრით.

სასამართლო სტატისტიკის გამოქვეყნების ფორმატისა და ვიზუალური საშუალებების კარგი მაგალითების წარმოდგენის მიზნით, IDFI-მ შეისწავლა ამერიკის შეერთებული შტატების და გაერთიანებული სამეფოს სასამართლო სტატისტიკის გამოქვეყნების პრაქტიკა. ამერიკის შეერთებულ შტატების სასამართლო სისტემის სტატისტიკური მონაცემები მოიძიება აშშ-ს მთლიანი სასამართლო სისტემის ვებგვერდზე www.uscourts.gov. აღნიშნულ ვებგვერდზე სტატისტიკური მონაცემები უმეტესწილად წარმოდგენილია Excel-ის ფორმატში. ასევე, აქტიურად გამოიყენება ცალკეული კატეგორიის სტატისტიკის მიხედვით მონაცემთა ვიზუალიზაციის საშუალებები. ვიზუალიზაციის თვალსაზრისით, ასევე გამოსაყოფია რუკები, სადაც თითოეული შტატის აღნიშვნის მიზნით, განსხვავებული ფერი გამოიყენება.



U.S. COURTS OF APPEALS

Title	Publication Table Number	Reporting Period	Report Name	
Cases Filed, Terminated, and Pending	B	March 31, 2019	Federal Judicial Caseload Statistics	Download (XLSX, 6.47 KB)
Cases Filed, Terminated, and Pending, by Nature of Proceeding	B-1	March 31, 2019	Federal Judicial Caseload Statistics	Download (XLSX, 14.97 KB)
Decisions in Cases Terminated on the Merits, by Nature of Proceeding	B-5	March 31, 2019	Federal Judicial Caseload Statistics	Download (XLSX, 14.94 KB)
Civil and Criminal Cases Filed, by Circuit and Nature of Suit or Offense	B-7	March 31, 2019	Federal Judicial Caseload Statistics	Download (XLSX, 17.08 KB)



დიდი ბრიტანეთის სასამართლო სისტემის სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ვებგვერდზე www.gov.uk, სადაც სტატისტიკური ინფორმაცია მოწოდებულია იუსტიციის სამინისტროსა და ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მიერ. აღნიშნულ ვებგვერდზე გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემები მონაცემთა ფორმატის სიუხვით გამოირჩევა. მონაცემები წარმოდგენილია ღია მონაცემების ფორმატში. ვებგვერდზე განთავსებულია განყოფილება "Transparency Files", სადაც მონაცემები წარმოდგენილია CSV ფორმატით. სხვადასხვა სტატისტიკურ ანგარიშში განთავსებულია აღნიშნული ღია მონაცემების საშულებით პროგრამულად შედგენილი ვიზუალური კომპონენტები. მაგალითად, შედგენილია იპოთეკასთან დაკავშირებული დავების რუკა, სადაც ყველა რაიონს შესაბამისი აზრობრივი დატვირთვის ფერი გააჩნია. ამ ვებგვერდზე ასევე განთავსებულია სტატისტიკური მონაცემებით შედგენილი ინფოგრაფიკები, რაც მომხმარებელს მონაცემების აღქმას უადვილებს.

Documents

Criminal court statistics (quarterly): January to March 2020

PDF, 810KB, 18 pages

This file may not be suitable for users of assistive technology.

▶ Request an accessible format.

Criminal court statistics quarterly: January to March 2020 (HTML)

HTML

Criminal court statistics infographic

PDF, 488KB, 1 page

This file may not be suitable for users of assistive technology.

▶ Request an accessible format.

Criminal Court statistics (quarterly): January to March (tables)

ODS, 877KB

This file is in an OpenDocument format

This file may not be suitable for users of assistive technology.

▶ Request an accessible format.

Crown Court plea tool

MS Excel Spreadsheet, 1MB

This file may not be suitable for users of assistive technology.

▶ Request an accessible format.

Transparency Files

ZIP, 8.12MB

This file may not be suitable for users of assistive technology.

▶ Request an accessible format.



Figure 7a: Mortgage possession Claims per 100,000 households, April to June 2020 (Source: map.csv; see supporting guide)



Local Authority	Rate (per 100,000 households)	Actual number
Spelthorne	7.5	3
Hillingdon	7.3	8
Ealing	4.9	6

6.7. სასამართლო სტატისტიკის ხელმისაწვდომობა - დასკვნითი შეფასება

საქართველოს საერთო სასამართლოების ვებგვერდებზე შესაძლებელია მრავალფეროვანი სტატისტიკის მოძიება. თუმცა, სტატისტიკის წარმოებასა და გამოქვეყნებას გარკვეული გამოწვევები და ხარვეზები ახლავს.

მიუხედავად იმისა, რომ განხილულ საქმეებთან მიმართებით საერთო სასამართლოები დიდი რაოდენობით სტატისტიკურ ინფორმაციას ამუშავებენ, დავების კატეგორიების სრულყოფილად აღრიცხვასთან დაკავშირებით სირთულეები მაინც არსებობს. თუ სისხლის სამართლის საქმეებზე არსებული ყველა დანაშაულის აღრიცხვა ხორციელდება, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე გარკვეული მნიშვნელოვანი დავის კატეგორიების შესახებ მონაცემებს სასამართლოები არ აწარმოებენ. ამ კუთხით დაბრკოლებას წარმოადგენს სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები, რომლებიც არ არის მოქნილი სტატისტიკური მონაცემების პერიოდულად განახლებისთვის.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სასამართლოებში ამ საკითხებზე მუშაობა მიმდინარეობს და სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების შესახებ მონაცემებს აუცილებელი და მნიშვნელოვანი დავის ქვეკატეგორიები თანდათან ემატება. ამ მხრივ გარკვეული დადებითი ნაბიჯები უკვე გადაიდგა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების სტატისტიკის წარმოება დაუახლოვდა სტამბოლის კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

საერთო სასამართლოების სისტემაში არ მუშავდება მონაცემები დავის საშუალო ხანგრძლივობის ან/და საქმეთა განხილვის ვადების შესახებ, რაც მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. ეს ინფორმაცია სასამართლოს მუშაობის შეფასების ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორია. ამ კუთხით, საქართველოს საერთო სასამართლოებში სტატისტიკის წარმოება არ შეესაბამება მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის მიერ დადგენილ სტანდარტსა და საუკეთესო პრაქტიკას.

ხარვეზები არსებობს სასამართლო სტატისტიკის ხელმისაწვდომობის კუთხითაც. სამწუხაროდ, სასამართლოები სტატისტიკურ მონაცემებს ერთიანი სტანდარტით არ აქვეყნებენ, ხოლო სხვადასხვა სასამართლოსთვის ერთი ტიპის ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მათი პასუხები ერთმანეთისგან განსხვავდება, რაც მონაცემების სრულყოფილად გაცნობასა და ანალიზს არსებითად ართულებს. მართალია, უზენაესი სასამართლო საკმაოდ მრავალფეროვან სტატისტიკურ მონაცემებს აქვეყნებს, თუმცა გარკვეული ტიპის მნიშვნელოვანი სტატისტიკური ინფორმაცია მის ვებგვერდზეც არ იძებნება. ეს ყოველივე ხაზს უსვამს სტატისტიკური მონაცემების ყველა სასამართლოს ვებგვერდზე ერთიანი სტანდარტით გამოქვეყნების საჭიროებას.

პრობლემურია ისიც, რომ სასამართლოები ყველა აღრიცხული დავის/დანაშაულის ქვეკატეგორიის შესახებ სტატისტიკას ვებგვერდზე არ აქვეყნებენ. ძირითადად არ ქვეყნდება კანონმდებლობაში ბოლოს დროს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისი დანაშაულის ქვეკატეგორიები, რაც საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში ხელმისაწვდომია.

სამწუხაროდ, სასამართლო სისტემაში არ არსებობს ერთიანი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალება, რომელიც მაქსიმალურად ავტომატიზებულად წარმართავს სტატისტიკის წარმოების პროცესს. გარდა ამისა, არსებული პრაქტიკა სტატისტიკის სიზუსტის თვალსაზრისით მნიშვნელოვან რისკებს შეიცავს, რაც ასევე სერიოზული გამოწვევაა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, კვლევაში ხაზგასმული ცალკეული სტატისტიკური მონაცემები საცდელ რეჟიმში მუშავდება ან სამომავლოდ დაგეგმილია მათი მიღება-დამუშავება, ხოლო შემდგომ - მათი გამოქვეყნება. აღნიშნული ცხადყოფს, რომ სტატისტიკური ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებასთან დაკავშირებულ ხარვეზებს სასამართლო სისტემა თავადაც აცნობიერებს. ამასთან, ცალკეულ შემთხვევებში, სრულყოფილი ინფორმაციის გამოქვეყნება დაკავშირებულია სტატისტიკის წარმოების ელექტრონული მოდულის დანერგვასთან.

დასკვნა

გამჭვირვალობა და ღიაობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საზოგადოების ნდობას სასამართლო ხელისუფლების მიმართ. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აუცილებელია სასამართლოების მუშაობის შესაფასებლად, ასევე არსებული ტენდენციებისა და ხარვეზების გამოსავლენად.

წინამდებარე კვლევამ აჩვენა, რომ სასამართლო სისტემის პროაქტიული გამჭვირვალობის კუთხით მნიშვნელოვანი გამოწვევები არსებობს. ამ კუთხით განსაკუთრებით პრობლემურია სასამართლო გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის საკითხი. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა ერთი მხრივ, ართულებს საერთო სასამართლოებზე ეფექტური საზოგადოებრივი კონტროლის განხორციელებას, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ქვეყანაში კანონის უზენაესობას.

პრობლემურია სასამართლოების მიერ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა და საჯარო ინფორმაციის არასრულყოფილი სახით გამოქვეყნება. სამწუხაროდ, თავად იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ საკუთარი გადაწყვეტილებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების მაჩვენებელიც საკმაოდ დაბალია.

კვლევამ ასევე ცხადყო, რომ საერთო სასამართლოების სისტემაში სტატისტიკის წარმოებასა და გამოქვეყნებას გარკვეული გამოწვევები ახლავს, რაც სტატისტიკის ხელმისაწვდომობის კუთხით სირთულეებს წარმოშობს.

კვლევის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების დროული აღმოფხვრა არსებითად მნიშვნელოვანია სასამართლო სისტემის გამჭვირვალობისა და ღიაობის გასაუმჯობესებლად.

რეკომენდაციები

სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობა

- მნიშვნელოვანია, საქართველოს პარლამენტმა მიიღოს სასამართლოს გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი საკანონმდებლო ცვლილება, საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების შესაბამისად.
- საკანონმდებლო ცვლილებამ უნდა გაითვალისწინოს მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილების ღიაობა, თუ არ არის მისი ხელმისაწვდომობის შეზღუდვის დასაბუთებული საჭიროება.
- მნიშვნელოვანია, საერთო სასამართლოებმა უზრუნველყონ გადაწყვეტილებების სრული ტექსტის საჯაროობა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად.

პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია

- მნიშვნელოვანია, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ და საერთო სასამართლოებმა სრულყოფილად გამოაქვეყნონ საბჭოს N1/225 გადაწყვეტილებით განსაზღვრული საჯარო ინფორმაცია.
- მიზანშეწონილია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსგავსად, სხვა სასამართლოებმაც იხელმძღვანელონ პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ცხრილით, რომელიც ერთ სივრცეში მოუყრის თავს საჯარო ინფორმაციას და მომხმარებელს მის მოძიებას გაუადვილებს.
- მნიშვნელოვანია court.ge-ის ბაზაზე არსებული ელექტრონული რესურსების საფუძვლიანი განახლება. აუცილებელია გამოსწორდეს არა-ფუნქციონირებადი ბმულების პრობლემა და სხვა გვერდზე გადამისამართებისას წარმოქმნილი შეფერხებები.
- მნიშვნელოვანია, სასამართლოებმა ინფორმაცია განათავსონ ვებგვერდის თემატურ ბლოკში და ხელი შეუწყონ ინფორმაციაზე საზოგადოების გამარტივებულ წვდომას. ასევე, უნდა აღმოიფხვრას ინფორმაციის სხვადასხვა ველზე ფრაგმენტულად განთავსების პრობლემა, რაც მომხმარებელს მის მოპოვებას გაუადვილებს.
- აუცილებელია, გადაიხედოს უკვე გამოქვეყნებული ინფორმაცია და ვებგვერდიდან წაიშალოს ის სამართლებრივი აქტები, რომლებიც ძალადაკარგულია. ასევე, მნიშვნელოვანია, სასამართლოებმა ვებგვერდზე განათავსონ საკანონმდებლო აქტების კონსოლიდირებული ვერსიები, რათა ძველმა რედაქციამ მომხმარებელი შეცდომაში არ შეიყვანოს.

- სასურველია, შეიქმნას საქმიანობის წლიური ანგარიშისა და ინფორმაციის თავისუფლების შესახებ წლიური ანგარიშის გამოქვეყნების ერთიანი სტანდარტი, რომლითაც ყველა სასამართლო იხელმძღვანელებს.
- მიზანშეწონილია, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს N1/225 გადაწყვეტილებით დადგინდეს სტატისტიკის გამოქვეყნების კონკრეტული ვადა (მაგალითად, კვარტალური).

სასამართლო სტატისტიკა

- მნიშვნელოვანია მიღებულ იქნას სამართლებრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს სასამართლოში სტატისტიკის წარმოების ერთიან სტანდარტსა და მეთოდოლოგიას, ასევე სასამართლოს ვებგვერდებზე სტატისტიკის ერთიანი სტანდარტით გამოქვეყნებას.
- სტატისტიკური მონაცემების სრულყოფილად დამუშავებისა და ვებგვერდზე მისი განთავსების, ასევე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისას სტატისტიკური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია საერთო სასამართლოების სათანადო ადამიანური და ტექნიკური რესურსით უზრუნველყოფა.
- სტატისტიკის წაკითხვის გაიოლების მიზნით და ბუნდოვანების გამოსარიცხად, სასურველია შეიქმნას დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც განმარტავს გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ინფორმაციას, გამოყენებულ ტერმინებსა და პროცედურებს.
- მნიშვნელოვანია, დაიხვეწოს დავების/დანაშაულის სახეებთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემები, კერძოდ, გამოქვეყნებულ კატეგორიებს დაემატოს ახალი კატეგორიები.
- მიზანშეწონილია, საერთო სასამართლოების სისტემაში დაიწყოს საქმეთა საშუალო ხანგრძლივობისა და სამართალწარმოების ეტაპების საშუალო ხანგრძლივობის შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება და გამოქვეყნება.
- მნიშვნელოვანია საერთო სასამართლოების ვებგვერდებზე ან/და უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნდეს ფარული საგამოძიებო მოქმედების თითოეული სახის მიხედვით დამუშავებული სტატისტიკური ინფორმაცია, ასევე მიეთითოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობა და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლი.
- მიზანშეწონილია, ცალკე გრაფაში აღინიშნოს გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, მოსამართლის წინასწარი განჩინების გარეშე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ სტატისტიკური მონაცემები, რომელთა კანონიერება სასამართლომ შემდგომში ცნო/არ ცნო.
- სასურველია, ყველა სასამართლომ აღრიცხოს და გამოაქვეყნოს ინფორმაცია სასამართლო მედიაციის შესახებ, შედეგებისა და დავათა სახეების მითითებით, რაც დაინტერესებულ პირებს ამ ინსტიტუტის მუშაობის შეფასების შესაძლებლობას მისცემს.
- მნიშვნელოვანია, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნდეს მონაცემები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საქმეთა შესახებ. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში შესულ სარჩელთა

რაოდენობა და საქმეთა განხილვის შედეგები. შესაძლებელია სტატისტიკა დამუშავდეს დისკრიმინაციის ნიშნების მიხედვით, ასევე, მიეთითოს სექსუალური შევიწროების შესახებ საქმეთა რაოდენობა.

- სრულყოფილი სურათის შესაქმნელად, მიზანშეწონილია, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე დამცავ ორდერებთან დაკავშირებულ სტატისტიკურ მონაცემებში აღირიცხოს ინფორმაცია, თუ რამდენმა პირმა მიმართა სასამართლოს დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით. ასევე, დამცავ ორდერთა სააპელაციო წესით გასაჩივრების მაჩვენებელი და სააპელაციო სასამართლოს მიერ გაუქმებულ დამცავი ორდერთა რაოდენობა.

- სასურველია, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებში ინფორმაცია აისახოს გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, მოძალადისა და მსხვერპლის სქესის, ასევე ასაკის მიხედვით. ამასთან, მნიშვნელოვანია აისახოს ისეთი ფაქტორებიც, როგორიც არის ოჯახური ძალადობა ჩადენილი არასრულწლოვნის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისა და ორსული ქალის მიმართ, მოძალადესა და მსხვერპლს შორის ურთიერთობა, მსხვერპლ არასრულწლოვანთა რაოდენობა, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერული იდენტობის ნიშნით ჩადენილი დანაშაულები.

- მიზანშეწონილია სააპელაციო სასამართლოებმა, ასევე, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებმა უზრუნველყონ დავათა და დანაშაულის სახეთა მიხედვით სტატისტიკური ინფორმაციის გამოქვეყნება. მნიშვნელოვანია, სააპელაციო სასამართლოებმა ასევე გამოაქვეყნონ დამცავი/შემაკავებელი ორდერისა და ოჯახში ძალადობის შესახებ სტატისტიკური მონაცემები.

- სასურველია, ბათუმისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოებმა სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე გამოაქვეყნონ საქმეთა განხილვის შედეგები, ასევე, ყველა სახის საგამოძიებო მოქმედებათა შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია შუამდგომლობის განხილვის შედეგების მითითებით.

- სასურველია, თბილისის საქალაქო სასამართლოში ცალკე გამოიყოს კომპიუტერულ მონაცემთან დაკავშირებული საგამოძიებო მოქმედებების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია.

- მნიშვნელოვანია, სასამართლო სისტემაში სტატისტიკის ერთიანი პროგრამული უზრუნველყოფის საშუალების შემუშავება, რომელიც ერთი მხრივ, მაქსიმალურად ავტომატიზებულს გახდის წარმოების პროცესს, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვნად განავითარებს სტატისტიკური ანალიტიკის შესაძლებლობებს.